ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 აგვისტო 2002 №146 (1668) ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# გაგვიტანეთ!

## ტორპედოს ლიგიდან სპარტა გააძილებს


მიროსლავ ბარანეკი

მამუკა წინამძღვრიშვილის ფოტოები


გუშინ ქუთაისში ჩასულმა პრაღელებმა ტორპედოელთა ვარჯიშის მერე ქუთაისური სარბიელი თავადაც მოსინჯეს



ხუთი წლის წინანდელი ამბავია, გეხსომებათ, საქართველოს მაშინდელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლევერკუზენში 1:6 რომ შერცხვა. ანკი რა დაგვავიწყებს, რა სიმწარეც მაშინ განვიცადეთ. არადა, „ლევერკუზენი“ მაშინ არ იყო ის გუნდი, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე თუნდაც ოცნებას რომ გაბედავდა.

საპასუხო მატჩმა მაშინ ფასი დაკარგა, „დინამოს“ შინ 1:0 გამარჯვება წარმატებად არავინ ჩაუთვალა — რა ნამუსით უნდა ჩაეთვალათ.

ეს ძველი ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ხუთი წლის წინანდელ „დინამო“ — „ლევერკუზენსა“ და დღევანდელ „ტორპედო“ — „სპარტას“ შორის დიდი განსხვავება არ არის. მართალია, 0:3 სჯობს 1:6-ს, მაგრამ ინგლისელების თქმისა არ იყოს, როცა ცუდსა და ძალიან ცუდს შორის გაქვს ამოსარჩევი, ასარჩევიც არაფერია. ანუ მაშინდელი „დინამოს“ მსგავსად „ტორპედომაც“ პრაღის „ლეტნაზე“ დაკარგა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი.

გეთანხმებით, 90 წუთში კი არა, შარშანწინდელ ჩემპიონთა ლიგაში „დეპორტივომ“ „პარი სენ ჟერმენს“ 0:3 ოც წუთში უქცია 4:3-ად, მაგრამ ვინძლო, ახლა სხვა შემთხვევასთან გვქონდეს საქმე.

ქუთაისელთა მეტოქეზე კიდევ აი, რა ვთქვათ: ჩეხებმა ერთი კვირის წინაც განაცხადეს და გუშინაც, ქუთაისში ჩასვლის მერეც გაიმეორეს, საპასუხო მატჩშიც ბოლომდე ვიბრძოლებთო. „ლეტნაზე“ ორი გოლის გამტანმა მიროსლავ ბარანეკმა კი „სარბიელის“ კორესპონდენტთან საუბრისას დაიქადნა, ქუთაისიდან უგოლოდ არ წავალთო.

„ტორპედოსთვის“ კი გამარჯვებისკენ სწრაფვა ქართული ფეხბურთის მომავალზე ზრუნვაც უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ქართული გუნდის თითოეული გამარჯვება უეფას რეიტინგში დამატებული ქულებია. არც ის დაგვავიწყდებოდათ, სულ რაღაც ორი წლის წინ საქართველოს იმდენი სარეიტინგო ქულა ჰქონდა, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში არ უწევდა. სხვათა შორის, კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმაც თქვა, პირველ მატჩში „პიუნიკს“ ისეთი ანგარიშით მოვუგეთ, საპასუხოში წაგების უფლებაც გვაქვს, მაგრამ არ გამოვიყენებთ, უკრაინას სარეიტინგო ქულები სჭირდებაო.

ისე კი, ბოლომდე გიხდით, ქართული ფეხბურთის მომავალი ლამის ამ სარეიტინგო ქულებზე დამოკიდებულად რომ წარმოვაჩინეთ, მაგრამ რა ვქნათ, „ტორპედო“ — „სპარტას“ დღევანდელი მატჩისთვის მოტივაციის გამოძებნა გვსურდა.

და სანამ ჩვენს უბედობას თუ უთავობას დავტირით, ევროპელი ბობოლები კბილებს ილესავენ — დღევანდელი სალიგო მატჩებიც და, მომდევნო ეტაპიდან ბრძოლაში ისინიც ჩაებმებიან.

იხილეთ მეორე გვერდი

# ჩემპიონთა ლიგა
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

ქუთაისი. „ტორპედო“. 7 აგვისტო. 20 საათი

## ტორპედო — სპარტა

# გვითხარით ასათიანის ფასი

## პობორსკი ქუთაისში დამუნჯდა, ბარანეკმა კი არველაძეზე ილაპარაკა

*ერთი კვირის წინ, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ჩეხურ „სპარტასთან“ 0:3 დამარცხებული „ტორპედო“, დღეს პრაღელებს ქუთაისში სტუმრობს. ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ დარჩება ამ წყვილში საბოლოოდ გამარჯვებული. ბევრს მიაჩნია და, ალბათ, ასეც არის, რომ საპასუხო შეხვედრა ოდენ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მართლაც, სასწაული უნდა მოხდეს, ჩეხებმა რომ სამბურთიანი უპირატესობა გაუშვან ხელიდან. არ დაუშვებს ამას გამოცდილი „სპარტა“. ეგ კი არა, ჩეხები იქადნებიან, საქართველოს ჩემპიონს მისსავე მოედანზეც იოლად გავუსწორდებითო.*

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

„სპარტა“ გუშინ ნაშუადღევს ჩამოფრინდა ჩარტერული რეისით. ჩეხთა 80-კაციანი დელეგაცია კოპიტნარის აეროპორტიდან ქუთაისისკენ ორ ნაწილად გაყოფილი გამოემგზავრა. ერთი, რომელშიც გუნდი და მისი ხელმძღვანელობა გახლდათ, ტორპედოელთა სალორიის ბაზაზე, ხოლო მეორე, სადაც კლუბის სპონსორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს და გულშემატკივრებს მოეყარათ თავი, სასტუმრო „კოსტიაში“ დასაბინავებლად...

შეთანხმებისამებრ „სპარტა“ საღამოს 8 საათზე ივარჯიშებდა „ტორპედოზე“, მასპინძლები კი ერთი საათით ადრე, ხოლო, ვიდრე ტორპედოელები ვარჯიშს დაასრულებდნენ, გუნდების თავკაცთა წინასამატჩო პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო.

ქართველ და ჩეხ ჟურნალისტებთან სასაუბროდ „სპარტას“ და „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელები, იოზეფ იაროზინსკი და ალექსანდრ შტელინი გამოცხადნენ. მეტოქე გუნდების დამრიგებლები შეკითხვებზე მორიგეობით პასუხობდნენ.

**— პირველ მატჩში „ტორპედო“ 0:3 დამარცხდა, არადა, თქვენ პრაღაში იმედიანად იყავით განწყობილი. „ტორპედოს“ დარჩა საბოლოო გამარჯვების იმედი? (ჰკითხა ქუთაისელთა უკრაინელ მწვრთნელს ჩეხმა ჟურნალისტმა).**

შტელინი: „სპარტას“ პოტენციალის გათვალისწინებით ძნელი სავარაუდოა, „ტორპედოს“ შემდგომ ეტაპზე გასვლა. პირველ მატჩამდე ჩემი ოპტიმიზმი იმას ემყარებოდა, რომ უკეთ თამაში შეგვეძლო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალთა თანაფარდობა ჩვენს სასარგებლოდ არ არის, ვეცდებით, საპასუხო შეხვედრაში უკეთეს შედეგს მივაღწიოთ, „ტორპედო“ გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**— როგორ ფიქრობთ, „სპარტას“ ქუთაისში პრობლემები შეექმნება?**

იაროზინსკი: ჩვენ მთელი სერიოზულობით ვემზადებით ამ მატჩისთვის. დარწმუნებული ვარ, „ტორპედო“ ქომაგთა მხარდაჭერით შინ უფრო მობილიზებულად გვეთამაშება. ჩვენი ამოცანაა, ქუთაისში კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ. „სპარტა“ მოსაგებად გამოვა მოედანზე.

**— „სპარტას“ ძირითადიდან ხომ არავინ აკლია?**

— არა. საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვედით.

**— გამოცდილ მეკარეს პეტერ კოუბას პირველ მატჩში არ უთამაშია და არც ქუთაისში ჩამოგიყვანიათ...**

— ჩვენ გუნდში სამი მეკარე გვყავს. კოუბა ძლიერი და გამოცდილია, მაგრამ ამ ეტაპზე შპიტი და ბლაჟეკი უფრო მომზადებულნი არიან.

**— შარშანდელი „სპარტა“ უფრო ძლიერია თუ წლევანდელი?**

— ჩემი სურვილია, ეს გუნდი უფრო ძლიერი იყოს.

**— თქვენ, ალბათ, უკვე მომავალ მეტოქეზე, ბელგიურ „გენკზე“ ფიქრობთ?**

— ჯერ „ტორპედოს“ უნდა გავცდეთ. წინასწარ ვერაფერს გიპასუხებთ.

**— „სპარტას“ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე დაუბრუნდა უცხოეთიდან. ისინი საუკეთესო ფორმაში არიან?**

— პობორსკი, ჩვეულად, კარგ ფორმაშია და ნაკრებში სათამაშოდაც მზად არის. იგივეს ვიტყოდი ბარანეკზე, კოუბას შესახებ კი მოგახსენეთ.

**— პრაღაში თქვენ ძალიან აქებდით „სპარტას“. ამით თქვენივე მოთამაშეები ხომ არ დააშინეთ? (ჩეხი ჟურნალისტის შეკითხვა).**

შტელინი: პირიქით, ჩვენ ფეხბურთელებს იმას ჩავჩიჩინებდით, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება ღირსეულად თამაში.

**— პირველ მატჩში ტორპედოელთაგან ვის გამოარჩევდით?**

იაროზინსკი: ასათიანს, ახალგაზრდა ჭელიძეს და, ცხადია, მეკარეს.

**— ამბობენ, ასათიანი სულ მალე დატოვებს „ტორპედოს“. რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სინამდვილეს?**

შტელინი: ამ ფეხბურთელით მართლაც ბევრი გუნდია დაინტერესებული და ჩვენს პრეზიდენტთან მოლაპარაკებებიც მიდის. დაზუსტებით ვერ გეტყვით. ისე კი, ასათიანი „ტორპედოსთვის“ დიდი ძალაა, ასეთი ტალანტები ხშირად არ იბადებიან.

**— „ვიტ ჯორჯიასთან“ ეროვნული ჩემპიონატის მატჩში რატომ არ ითამაშა ასათიანმა?**

— მცირე ტრავმა ჰქონდა, თანაც პრაღაში საკუთარი თამაშით უკმაყოფილო იყო. ყველაფერმა ერთად იმოქმედა და დასვენების საშუალება მივეცით.

**— გაგონილი გვაქვს, რომ ასათიანის შეძენა მოსკოვის „სპარტაკს“ სურდა, მაგრამ კლუბები სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. მაინც, როგორ ფასობს ასათიანი? (ჩეხი ჟურნალისტის შეკითხვა.)**

— ციფრებს ვერ დაგისახელებთ. ეს კლუბის ხელმძღვანელებმა იციან.

**— პრაღაში ბრძანეთ, „სპარტასთან“ თამაშზე ქუთაისის სტადიონი გაივსებაო. ახლაც ასე ფიქრობთ? (ჩეხი ჟურნალისტის შეკითხვა.)**

— ცხადია, დიდი ანგარიშით მარცხმა ცუდად იმოქმედა „ტორპედოს“ ქომაგებზე. არა მგონია, ტრიბუნები გაიჭედოს, მაგრამ 80 პროცენტით, ალბათ, შეივსება.

პრესკონფერენციაც მორჩა და „ტორპედო“ მოედანზე „სპარტამ“ შეცვალა. იოზეფ იაროზინსკიმ საკმაოდ დატვირთა შეგირდები, ეგ იყო, ამათ ნავარჯიშევს დაღლა სულაც არ დატყობიათ. გასახდელისკენ მიმავალი სტუმარი ფეხბურთელებიდან, ჩვენ, ქართველ ჟურნალისტებს, ყველაზე მეტად ბოლოდროინდელი ჩეხური ფეხბურთის ვარსკვლავთან, კარელ პობორსკისთან გვსურდა გამოლაპარაკება, თუმც ამის საშუალება თავად ფეხბურთელმა არ მოგვცა, ინტერვიუზე არ დაგვთანხმდა. სამ ჩეხს კი მაინც გავესაუბრეთ.

**ირჟი ნოვოტნი, „სპარტას“ კაპიტანი:**

— ქუთაისური მატჩის პროგნოზისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, ვიტყვი, აქ კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ. პრაღაში „ტორპედო“ შებოჭილი თამაშობდა, საკუთარ მოედანზე კი, ალბათ, დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს.

**მიროსლავ ბარანეკი:**

— პრაღაში ორი გოლი გავიტანე. ვფიქრობ, ქუთაისშიც გავიტანთ, არ აქვს მნიშვნელობა, ამას მე გავაკეთებ თუ სხვები.

**— „კიოლნიდან“ რატომ წამოხვედით?**

— გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდა. მეც „სპარტაში“ დაბრუნება ვამჯობინე.

**— სხვა ვარიანტი არ გქონდათ?**

— მქონდა, მაგრამ ასე გადავწყვიტე.

**— „კიოლნში“ არჩილ არველაძესთან როგორი ურთიერთობა ჰქონდათ?**

— არჩილი ჩემი მეგობარია. სხვათა შორის, ახლაც ხშირად ვუკავშირდებით ერთმანეთს ტელეფონით.

**— რომელ ენაზე საუბრობთ?**

— გერმანულზე.

**— „სპარტაში“ დიდ ხანს დარჩებით?**

— ეს ხომ მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**მიხალ შპიტი:**

— შინ მეოთხე გოლიც რომ გაგვეტანა, ქუთაისში უფრო დამშვიდებულნი ჩამოვიდოდით. თუმც ახლაც კარგ ხასიათზე ვართ.

**— გუნდში ორი ძლიერი კონკურენტი გყავთ — კოუბა და ბლაჟეკი.**

— მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ და როდის ათამაშოს.

**— ქუთაისში ბურთის გაშვებას, ცხადია, არ აპირებთ?**

— ეგრეა.

**— მაინც ვის უფრთხით ტორპედოელთაგან?**

— ასათიანს.



ალექსანდრე შტელინი, ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო დირექტორი იაროსლავ დუდლი და იოზეფ იაროზინსკი პრესკონფერენციაზე

მამუკა ნონიკაშვილი ქუთაისიდან

# რუსთავს გორდა არ გორდას ფული სჭირდება



სერგო ბუილიშვილი

„გორდას“ ბედი ... გაურკვეველია. სამი დღე დარჩათ რუსთაველებს „ბათუმთან“ საშინაო მატჩამდე და საწევრო თანხა ჯერაც არა აქვთ გადახდილი ფედერაციისთვის.

გუშინ შპს კსკ „გორდა 2000“-ის დირექტორი სერგო ბუილიშვილი რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს შეხვდა. ამასწინათ მერიამ გარკვეული ვალდებულება აიღო კლუბის წინაშე, კერძოდ, ქალაქის ხელმძღვანელობას „გორდა“ საწევრო თანხით უნდა უზრუნველყო, მაგრამ „გორდა 2000“-ის და მერიის შეთანხმების ეს პუნქტი ჩაიშალა. შედეგად, „გორდას“ წაგება ჩაეთვალა პირველი ტურის მატჩში.

ბუილიშვილის და ტყეშელაშვილის გუშინდელ შეხვედრას პრობლემა არ გადაუჭრია, მეტიც, მერია ამ ეტაპზე ვერ შეძლებს გუნდის დახმარებას და საწევრო თანხის შეკოწიწება ბუილიშვილის და მისი ბიზნეს-პარტნიორების მარიფათზე ჰკიდია.

კრედიტის აღება ერთ და ორ დღეში არ ხერხდება, ფული ჯერაც არ გვაქვს, მაგრამ ყველაფერს ვილონებთ ეს პრობლემა დროულად რომ გადავწყვიტოთო, გვითხრა გუშინ სერგო ბუილიშვილმა.

**ბაათა ქვანტალიანი**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# გაზაევი ალმასკომზე ბატალიონით მივიდა

## რუსეთი

რუსეთის ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელი ვალერი გაზაევი, როგორც ჩანს, სერიოზული რეფორმების გზას დაადგა.



გაზაევის გაფართოებულ სიაში გიორგი მიქაძეც მოხვდა

გუშინ მწვრთნელმა რუსეთის საფეხბურთო კავშირის ალმასკომს ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული, 59-კაციანი სია წარუდგინა და განაცხადა, უახლოესი ამხანაგური თუ ოფიციალური მატჩებისთვის ეროვნული გუნდი ამათგან საუკეთესობით დაკომპლექტდებაო. ბევრის გასაკვირად, გაზაევის რჩეულთა შორის სულ ორი ლეგიონერია — ფრანგული „ბორდოს“ ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი და ესპანური „სოსიედადის“ დმიტრი ხოხლოვი. დანარჩენები რუსეთის პრემიერლიგის კლუბების ფეხბურთელები არიან და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ სიაში ბევრი უცნობი გვარია და ერთ-ერთი რუსეთის მოქალაქე გიორგი მიქაძეცაა, ვინც ამჟამად რამენსკოეს „სატურნის“ ღირსებას იცავს.

ვალერი გაზაევმა სამი ვეტერანი, მისი წინამორბედის, ოლეგ რომანცევის გუნდის ლიდერები ვიქტორ ონოპკო, ალექსანდრ მოსტოვოი და ანდრეი კარპინი ნაკრებს ჩამოაშორა.

სათქმელია ისიც, რომ 59-კაციან სიაში ხოხლოვისა და სმერტინის ჩათვლით მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სულ შვიდი ფეხბურთელია.

ვალერი გაზაევმა გუშინვე დაასახელა თავისი თანაშემწეები — ალექსანდრ ბოროდიუკი და ანდრეი ჩერნიშოვი, რომლებიც ადრე, მოსკოვის „დინამოში“, სწორედ გაზაევის ხელმძღვანელობით თამაშობდნენ.

რუსეთის ნაკრები უახლოეს მატჩს მოსკოვში „ლოკომოტივის“ ახალაშენებულ სტადიონზე შვედეთის წინააღმდეგ 21 აგვისტოს ჩაატარებს. მწვრთნელი ამ ამხანაგური შეხვედრის შემადგენლობის გამოცხადებას ორშაბათს აპირებს. მომავალი წლის კალენდარში კი რუსებს სამი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. გაისად, 20 აგვისტოს გაზაევის შეგირდები მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელებს უმასპინძლებენ, 12 თებერვალს ან 30 აპრილს კი ვიცე-ჩემპიონ გერმანელებს. რუსების მესამე მეტოქის ვინაობა ჯერ უცნობია.

ევრო 2004-ის პირველ შესარჩევ მატჩს, შეგახსენებთ, რუსეთის ნაკრები მოსკოვში ირლანდიასთან, 7 სექტემბერს ჩაატარებს, მეორეს — თბილისში, 12 ოქტომბერს.

**კობა ინასარიძე**

## შოტლანდია
### ლიგის თასი
### პირველი ეტაპი

არბროთი 0:2 ფორფარი
მონტროუზი 1:0 ალბიონი
ეირდრი 3:0 რეითი
მორტონი 3:2 სტირლინგი
ქუინზ პარკი 2:1 გრეტნა
სტ. მირენი 7:0 ისტ სტირლინგი
ქოუდენბითი 0:2დ.დ. (0:0) როსი
ელგინი 1:4 ბრეჩინი
სტრანრარი 1:2 ეარი
პიტერჰედი 0:2 ქუინი
სტენჰაუზმური 1(4 დდ. 2:3პ) ფალკირკი
სტ. ჯონსტონი 3:0 ჰამილტონი
დამბარტონი 1:0 ისტ ფაიფი
ბერიკი 1:0 ინვერნესი

## შვეიცარია
### B ჯგუფი
### გადადებული მატჩი

კრიენსი 4:2 ლუგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა



1996 წლის 9 ნოემბერი. საქართველო — ინგლისი. გიორგი ნემსაძე (№7) და პოლ გესქოინი, შესაძლოა, თანაგუნდელები გახდნენ

# გაზას გზაზე დანდი გამოჩნდა

**აი, რა ამბავი** მოდის სქოთების ქვეყნიდან.

იქაური პრემიერლიგის ორ გუნდს, „დანდისა" და „პარტიკ თისთლს" მოსურვებიათ თავიანთ რიგებში 35 წლის პოლ გესქოინის ხილვა.

გაზამ ამასწინათ ამერიკაში გაისერნა, იქაურ „DC იუნაიტედთან" კონტრაქტი ვერ გააფორმა და ახლა სქოთთა თვალთახედვის არეში მოხვდა.

„პატრიკი" პრემიერლიგაში ახლადდაბრუნებული გუნდია და მის მენეჯერ ჯონ ლემბის მიაჩნია, რომ გაზა სწორედ მის კლუბს აირჩევს, რადგან იგი გლაზგოური კლუბია და გიჟმაჟ ინგლისელს გლაზგო შინაურ ქალაქად მიაჩნია, იქაურ „რეინჯერსში" სამწლიანი თამაშის გამო.

არადა, გაზას პირველი სწორედ „დანდის" ახალი თავკაცი ჯიმ დაფი დაკავშირდა.

თუ დაფის ოცნება ახდება, მაშინ გესქოინი ორი ქართველის, გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის მხარდამხარ ითამაშებს. დაფიც ამას ამბობს: „შუა მოედანზე გაზას და გიორგი ნემსაძის ყოფნა დიდ ტექნიკურ უპირატესობას მოგვანიჭებს".

ასეა თუ ისე, ჯერ არაფერი გარკვეულა. გაზას გამო ტაციაობა აუტეხავთ ინგლისის დაბალლიგურ კლუბებს, მაგრამ ფეხბურთელს უთქვამს, დაბალ ლიგაში უკვე ვითამაშეო, გესქოინმა ხომ „ბარნლიში" დაასრულა გასული სეზონი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფინკემ კობიაშვილს ხასიათი გამოუკეთა

## გიორგი დეკანოსიძე მგლებთან შეუშვეს

** წინასასეზონო მზადების** პერიოდი თანდათან იწურება და გერმანული ბუნდესლიგაც მალე გახურდება. სამწუხაროდ, თუკი წინა სეზონში ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართველთა სიმრავლით ვიწონებდით თავს, წლეულს ამგვარ სიამოვნებას ვეღარ მივიღებთ. იაშვილი-კობიაშვილი-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი" არჩილ არველაძის „კიოლნს" შეუამხანაგდა და ახლა ორივე გუნდს კვლავაც უძლიერესთა შორის დაბრუნება ამოუჭრია გულში.

მართალია, სულ რაღაც ორიოდ თვის წინ ლევან კობიაშვილის კვლავ გაბუნდესლიგელებას თითქოს წინ არაფერი ედგა, თუმც აქედან არაფერი გამოვიდა და „კობი" ისევ „ფრაიბურგის" მაისურას მოირგებს. სამაგიეროდ, სასიხარულო ისაა, რომ ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ათამაშდა გიორგი კიკნაძე. მან როგორც იქნა, თავი დააღწია წელის ქრონიკულ ტრავმას და ახლა გუნდთან ერთად ემზადება. კიკნაძეს ფოლკერ ფინკეც ენდობა და ბოლო მატჩებია უთამაშებელსაც არ ტოვებს. მართალია, ჯერ მხოლოდ შეცვლებზე ათამაშებს, თუმც ტრავმებით გაწამებული გიორგისთვის ესეც საკმაო ნუგეში უნდა იყოს.

ორიოდ დღის წინ „ფრაიბურგი" ამხანაგურად გაეჯიბრა ბუნდესლიგელ „შტუტგარტს" და 2:1 დაამარცხა. გერმანული პრესის ცნობით, ფრაიბურგელებმა წინა მატჩთან შედარებით („ვოლფსბურგთან" 0:3) საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშეს.

— გუნდის თამაშით კმაყოფილი დავრჩი — თქვა ნამატჩევს ფოლკერ ფინკემ — ფსიქოლოგიურად ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან საჭირო იყო.

შეუცვლელად ითამაშეს ცქიტიშვილმა და კობიაშვილმა. ამ უკანასკნელს გოლის გატანაც შეეძლო, თუმც მიზანი ვერ გაისწორა და ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა. გიორგი კიკნაძე 82-ე წუთზე გერბერის ნაცვლად შევიდა მოედანზე, ალექსანდრე იაშვილი კი კვლავაც ტრავმას მკურნალობს.

ამასობაში ორი საკონტროლო მატჩის ჩატარება მოასწრო ბუნდესლიგაზე მეოცნებე კიდევ ერთმა „ქართულმა" გუნდმა. გიორგი დეკანოსიძის „ფიურტმა" ჯერ ქვედალიგელ „იზენბუტელს" 9:0 მოუგო, მერე კი „ფრაიბურგის" გამამწარებელ „ვოლფსბურგს" 2:2 დაუზავდა. პირველ მატჩში დეკანოსიძემ გოლით გამოიჩინა თავი, „მგლებთან" კი მხოლოდ ექვსი წუთით შეუშვეს მოედანზე.

თუმც მეორე ბუნდესლიგაში ქართველთა რიცხვი ამით სულაც არ ამოწურულა. ახლახან გადაწყდა, რომ თბილისის „მრეტების" ყოფილი ფეხბურთელი მიხეილ საჯაია „უნტერჰახინგში" ითამაშებს. საჯაია უკვე რამდენიმე წელია გერმანიაში თამაშობს, ბოლოს კი რეგიონალლიგელ „აუგსბურგში" ირიცხებოდა.

კვლავ გოლით გამოირჩა რეგიონალლიგელ აუე-ს ქართველი ლიდერი ხვიჩა შუბითიძე. ჩვენებურმა პირველ ტურში კიოლნელ მოყვარულებს დააყრევინა ფარ-ხმალი, ახლა კი მათ „ლევერკუზენიც" მიაყოლა. აუე-მ 2:0 დაამარცხა მეტოქე. მეორე გოლი 67-ე წუთზე შუბითიძემ ლამაზი კომბინაციის შედეგად გაიტანა. გერმანელმა ჟურნალისტებმა კი ქართველი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

**კახა ზალამბერიძე**

# აფხაზავამ უკრაინას გადმოხედა

## ქართული თავები სხვებისთვის მუშაობენ

შაბათს „სელტიკის" საჯიროთოდ ქცეული შოტლანდიური პრემიერლიგა დაიწყო. „რეინჯერსი" „კილმარნოკს" ეწვია და ჩვენებურის გოლით ფრესლა გამორჩა. შოთა არველაძე ყველაზე აქტიური იყო თანაგუნდელთა შორის და 30-ე წუთზე თავურით დააწინაურა სტუმრები, მაგრამ ალექს მაკლიშის გუნდს გასაორებლად ბევრიც არაფერი გაუკეთებია და მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე აქეთ დაისაჯა მაკლარენის საპასუხოთი — 1:1. ასეთივე ანგარიშით ითამაშა გიორგი ნემსაძის და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდიმაც", ეგ არის, უცხოელებით აჭრელებულ ჯიმ დაფის გუნდს საწუწუნო არაფერი დარჩა კონტრშეტევებზე დაგეშილ „ჰართსთან" 90-წუთიანი ჭენაობის შემდეგ. ნემსაძე ამ დროის განმავლობაში შემტევ ნორო-კაბალიეროს დუეტის პასებით მომარაგებას ცდილობდა, მაგრამ პირველი გოლი სტუმრებისა იყო — სპერონს უელსმა ჩაუჭედა 33-ე წუთზე. „დანდიმაც" სამეორეტაიმოდ გადადო საქმე და კაბალიეროს გატანილსლა დასჯერდა. არ უთამაშია ზურაბ ხიზანიშვილს. იგი ჩვეული სათამაშო კონდიციებისგან ჯერაც შორსაა.

უკრაინაში აღარ ხუმრობს შალვა აფხაზავა. ამ ბიჭმა უცებ აუღო ალღო იქაური მკაცრი სტილის ფეხბურთს და მეხუთე მატჩშიც გოლით გამოირჩა. კიეველმა არმიელებმა დერბიში დებიუტანტი „ობოლონი" მოგუდეს. შალვამ მატჩის დებიუტში ივანოვის გოლში შეიტანა წვლილი, შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი თავადაც გაიტანა. ობოლონელი მცველები კარიაკას თავით საჯარიმოში ჩაგდებულმა ბურთმა აჭრა და აფხაზავამ ოთხიოდე მეტრიდან ცაციათი ლამის ბადე გახია. ჩვენებური ექვსი ტურის შემდეგ ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცა. დამარცხდა სტუმრად უხეიროდ მოთამაშე ტრაპაიძე-გიგიაძე-ჩომახიძის „ტავრია". ქართველთა ძალისხმევა სიმფეროპოლელებს არაფერში წაადგათ. ზაპოროჟიას „მეტალურგი" სტუმრად უგოლოდ დაშორდა „კრივბასს", არ უთამაშია ირაკლი მოდებაძეს.

ქართველთა წყალობით წაუგებელ სერიას აგრძელებს „ალანია". ვლადიკავკაზელებმა საშინაო მატჩში აუტსაიდერობისთვის ზედგამოჭრილი „სოკოლი" ჩაყლაპეს, თუმც მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ნერვიულობაც არ დაჰკლებიათ.

ჩვენებურთა მეცადინეობით მასპინძლები 24-ე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ. პირველი გოლი დემეტრაძემ შეაგდო, მერე კი კუსოვმა გაიტანა. ეს გოლი რუსეთის ჩემპიონატის ამ ტურში საუკეთესოდ აღიარეს — დემეტრაძემ კუთხური აშვეთიასთან გაითამაშა, მან კი ეფექტურად ჩამოიშორა მცველი და საჯარიმოში შეჭრილ კუსოვს ბურთი ფეხზე დაასვა. მერე კი ორწუთიანმა ონკვეთმა ვლადიკავკაზელებს თავში საცემად გაუხადა საქმე, ჯერ ბალტიევმა დაახუჭუჭა ჯარიმიდან, მერე კი საკიევმა სულაც ანგარიში გაათანაბრა და „ალანია" ისევ სარატოველთა კარს მიაწყდა. 67-ე წუთზე პაულუ ემილიუს წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დემეტრაძემ ვერ გამოიყენა. ეს მართლაც მოულოდნელობა იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „დემე" ტრადიციულად კარგად ასრულებს პენალტს. ასე თუ ისე, ქართველის გაფუჭებული ქართველმავე გამოასწორა — მომხდარიდან წუთის შემდეგ ვლადიკავკაზელები აშვეთიას თავური გოლით ხარობდნენ. „ალანიამ" მეთორმეტე საფეხურზე აინაცვლა და მის მეზობლად ტრიალებენ სხვა ქართული გუნდებიც. საჯაიას „ტორპედო" მეთერთმეტეა და შაბათს რკინიგზელის დღის მოგებით აღნიშვნის მოსურნე „ლოკომოტივს" დაეჩაგვრინა. საჯაიამ ტრადიციულად შეცვლაზე ითამაშა. უხმელიძეო „როსტსელმაშმა" მჟავანაძის „ანჟის" სძლია. ქართველმა საშუალოზე მაღალი შეფასება მიიღო.



მიხეილ აშვეთია

გარკვეულწილად დმიტრი პარფიონოვის საშინელმა ტრავმამ განაპირობა ვალერი აბრამიძის დებიუტი „სპარტაკში". ექსტორპედოელი მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შევიდა მოედანზე.

რუსულ პირველ ლიგაში სენსაციურად დამარცხდა ჩალაძე-სილაგაძის ყაზანური „რუბინი". ლიდერებს ვერც ახლადშეძენილმა ბრაზილიელმა სამარონიმ უშველა. ულიმღამოდ ითამაშა ჩალაძემაც. მას ერთადერთხელ, 73-ე წუთზე მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ დამატებულზეც კი ვერ აჯობა მეკარეს. სილაგაძეს მიკროტრავმის გამო არ უთამაშია.

პირველი ლიგის სხვა „ქართული" მატჩებიდან აღსანიშნავია გოჩა გოგრიჭიანის გოლი. უბერებელმა ქართველმა ფორვარდმა მეორე წუთზე გატანილით როსტოველთა სტუმრად გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი.

**ბაატა ძვანტალიანი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | კილმარნოკი 1:1 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჰართსი 1:1 | 90 | | 1 | 0 | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ჰართსი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | სოკოლი 3:2 | 90 | 1 გოლი | 5 | 4 | 12 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | სოკოლი 3:2 | 0 | | 10 | 2 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | სოკოლი 3:2 | 83 | 1 გოლი, საგ. პასი, შეცვალეს | 6 | 5 | 12 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | დინამო 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | დინამო 1:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 2 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ანჟი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | როსტსელმაში 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 1 | 13 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 0:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 11 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | გაზპრომი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 16 | 0 | 19 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | გაზპრომი 1:0 | 90 | | 19 | 1 | 19 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | გაზპრომი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 15 | 0 | 19 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | დინამო 1:2 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | დინამო 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | დინამო 1:2 | 90 | | 17 | 11 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | ამკარი 1:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 16 | 2 | 12 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | ყუბანი 1:2 | 0 | | 4 | 1 | 15 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკროსტოვი | ს | მეტალურგი 2:1 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 14 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ასკროსტოვი | ს | მეტალურგი 2:1 | 74 | 1 გოლი, გააფრთხ. შეცვალეს | 3 | 1 | 14 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ასკროსტოვი | ს | მეტალურგი 2:1 | 90 | | 3 | 0 | 14 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 5 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 6 | 1 | 15 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:1 | ? | | 2 | 1 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | ს | კრივბასი 0:0 | 0 | | 5 | 0 | 11 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ობოლონი 2:0 | 90 | 1 გოლი | 5 | 5 | 2 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# ჩემპიონთა ლიგა

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

ბაზელი (შვეიცარია) — ჟილინა (სლოვაკეთი) (1:1)
ლევსკი (ბულგარეთი) — სკონტო (ლატვია) (0:0)
პიუნიკი (სომხეთი) — დინამო (უკრაინა) (0:4)
ბელშინა (ბელარუსი) — ჰ. მაკაბი (ისრაელი) (0:4)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — ლილესტრიომი (ნორვეგია) (1:0)
პარტიზანი (იუგოსლავია) — ჰამარბი (შვედეთი) (1:1)
გრაცერი (ავსტრია) — შერიფი (მოლდოვა) (4:1)
დინამო (რუმინეთი) — ბრიუგე (ბელგია) (1:3)
ლეგია (პოლონეთი) — ვარდარი (მაკედონია) (3:1)
დინამო (ალბანეთი) — ბრონდბიუ (დანია) (0:1)
აპოელი (კვიპროსი) — მარიბორი (სლოვენია) (1:2)
ზაგრები (ხორვატია) — ზალაეგერსეგი (უნგრეთი) (0:1)
ჰიბერნიანსი (მალტა) — ბოავიშტა (პორტუგალია) (0:4)

## ლუკმაპურის მოლოდინში



ბრიუგე — დინამო. ფილიპ კლემენტს რუმინელი კლაუდიო დრაგანი ამაოდ ჩამოეკიდა

ჯიბემსუყე ბობოლები პოტენციურ სასუსნავს ელოდებიან, ანუ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გაცხრილვა მოხდება. გაცხრილვის შედეგად ჯიბემსუყეებს შედარებით თხელჯიბიანები დაუპირისპირდებიან. ბობოლებისთვის უსახელო პატარა გუნდებთან შეხვედრა ეგებ ფინანსურად წამგებიანიც იყოს, მაგრამ მცირეთათვის პირიქით, საკმაოდ მომგებიანი იქნება. მოკლედ, უფულოთათვის ლიგის გზაზე ყოველი წინწაწეული ნაბიჯი ქისის შევსებით აღინიშნება.

მოლდოვური შერიფი სტუმრად ავსტრიაში „გრაცერს" აეტუზება. ძნელი სავარაუდოა, რომ „შერიფმა" მასპინძლებს სამი უპასუხო ბურთი გაუტანოს. მით უმეტეს, ამ წყვილის გამარჯვებულის მეტოქემ, მოსკოვის „ლოკომოტივმა", თავის პრობლემები უკვე მოაგვარა. თავდაპირველი შეთანხმების კვალობაზე, „ლოკომოტივს" მეტოქისთვის მოსკოვში უნდა ემასპინძლა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ პირველ შეხვედრას რუსები გრაცში (თუ, რა თქმა უნდა, „შერიფის" ბარიერი გადალახეს) ითამაშებენ.

ალბათ, არავითარი პრობლემები არ შეექმნება კიევის „დინამოს" სომხეთში. ერთი ეგაა, ერევნის „პიუნიკი" ნამუსის მოწმენდას ეცდება პირველ მატჩში 0:4 წაგების შემდეგ. თვითონ უკრაინელთათვისაც ძნელი იქნება აგრესიული თამაში პირველ შეხვედრაში მოპოვებული უპირატესობის შემდეგ. ოღონდ, არც ის დაგვავიწყდეს, თითოეული გამარჯვება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრებში რეიტინგსა და სალაროს ქულებს და ფულს რომ მატებს.

გვარიანი თავსატეხი ელის რიგის „სკონტოს" სოფიაში. ბულგარულმა „ლევსკიმ" პირველ შეხვედრაშიც თავსატეხი გაუჩინა ლატვიის ჩემპიონს. აღსანიშნავია, რომ ბულგარულ „წიწაკას" გასული წლის 7 ნოემბრის შემდეგ საკუთარ ჩემპიონატში ჩატარებულ მატჩებიდან მხოლოდ ორი ფრე აქვს, დანარჩენში გამარჯვება იზეიმა.

შვეიცარიის ჩემპიონს, ლაღად მოთამაშე „ბაზელს", სლოვაკეთის ჩემპიონი „ჟილინა" დაეჭიდება. „ჟილინამ" ბოლო ტურში, 4 აგვისტოს „დუბნიცასთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა. „ბაზელს" ბრწყინვალე შანსი აქვს, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიის ღირსება დაიცვას. მით უმეტეს, ბაზელელებმა ქვეყნის ჩემპიონატის ტურში დამაჯერებლად დაამარცხეს მორიგი მეტოქე.

აგერ უკვე 13 ტურია, კვიპროსის „აპოელს" შინ ფრე არ უთამაშია. 13 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წააგო, დანარჩენში კი იმარჯვა. სლოვენიის „მარიბორთან" ბრძოლაში კუნძულელებს გამარჯვების იმედი აქვთ, თუმც ნაშუშაკარ „მარიბორს" ადვილად დასამარცხებელი არ ეთქმის. სლოვენიის ჩემპიონატში სამი ტური ჩატარდა. „მარიბორი" მეექვსე ადგილზეა, ბოლო, მესამე ტურში კი სტუმრად „ოლიმპია" 1:0 დაამარცხა.

დიდი გაწამაწია ელის დანიურ „ბრონდბიუს" ტირანაში. მას შემდეგ, რაც ალბანეთის „დინამო" რის ვაი-ვაგლახით დაამარცხა, „ბრონდბიუმ" შინ „აკადემისკისგან" გამოსაფხიზლებელი მარცხი იწვნია. „ბრონდბიუს" მომავალი წლის პირველი იანვრიდან 22 წლის მარტინ სეტოვი შეუერთდება, რომელიც ახალ მიქაელ ლაუდრუპად მონათლეს. იგი დანიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ახალდაწყებულია ბოსნიის ჩემპიონატიც. იქაურმა „ჟელეზნიჩარმა" პირველ ტურში სტუმრად „ზეპჩესთან" ფრეს მიაღწია. ბოსნიურ გუნდს ნამდვილად გაუჭირდება „ლილესტრიომის" ბარიერის გადალახვა, რადგან ნორვეგიელებს ევროთასებზე მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ. „ჟელეზნიჩარს" ნორვეგიაში მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნება მოუწევს. თუ ეს შეძლო, უდიდესი მიღწევა იქნება დამოუკიდებელი ბოსნიის ისტორიაში.

კვლავ აქეთ-იქეთ ხეტიალი მოუწევთ ებრაელებს. ნეიტრალურ მოედანზე მიღწეული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ახლა ბობრუისკში „ბელშინას" წინააღმდეგ ოთხბურთიანი უპირატესობა უნდა შეინარჩუნონ. ბელარუსში უკვე თხუთმეტი ტური გაილია. 14-გუნდიან ჩემპიონატში „ბელშინა" მეცხრე ადგილზე ტივტივებს. ბოლო ტურში „მაკაბის" მეტოქემ დედაქალაქურ „დინამოსთან" წააგო სტუმრად. საინტერესოა, რომ „ბელშინას" სატურნირო ცხრილის პირველ ათ გუნდს შორის ყველაზე მეტი, 6 წაგება აქვს. მოკლედ, თეთრ რუსებს აღთქმული მიწიდან წვეულ სტუმართა ძლევისთვის მაქსიმუმის გაღება მოუწევთ.

რუმინეთის „დინამომ" საკმაო წინააღმდეგობა გაუწია „ბრიუგეს" პირველ შეხვედრაში, შემდგომ „ბრიუგემ" ქვეყნის ჩემპიონი „გენკიც" დააწვინა სუპერთასის შეხვედრაში. ასე რომ, რუმინელებს ძალიან გაუჭირდებათ მეტოქესთან ორბურთიანი ფორის აღმოფხვრა.

გულზეა მოსული „ლეგია", რომლის მთავარი მწვრთნელიც უკვე „ბარსელონასთან" შესახვედრად ემზადება. პოლონელებს სკოპიეს „ვარდართან" სტუმრად მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნება სჭირდებათ, რაც, ალბათ, არ გაუჭირდებათ.

ვნებათაღელვაა მოსალოდნელი ზაგრებში, სადაც ადგილობრივი „ზაგრები" უნგრეთის ჩემპიონ „ზალაეგერსეგეს" უმასპინძლებენ. აღსანიშნავია, რომ ხორვატულ გუნდს 20 აპრილის შემდეგ შეხვედრა არ წაუგია და ახალდაწებულ ჩემპიონატშიც ორი თამაშიდან ერთი მოიგო, მეორე კი ფრედ დაასრულა.

იუგოსლავიის „პარტიზანი" შინ შვედეთის ჩემპიონს, „ჰამარბის" დაუხვდება. „პარტიზანს" სტუმრად არ გასჭირვებია ფრედ თამაში და ახლა გამარჯვებას გეგმავს. იუგოსლავიის ჩემპიონს ბოლო შვიდ შეხვედრაში მარცხის გემო არ გაუსინჯავს და გუნდი წაუგებელი სერიის გაგრძელებას ლამობს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჟილინა — ბაზელი. მასპინძლებმა მიროსლავ ბარზიკის ერთი გოლი იგმარეს

# პიუნიკის თავზე გავიარეთ

## ბრაზილიელმა დინამოს სულზე მოუსწრო

*ჩემპიონთა ლიგა ის დონეა, სადაც არცთუ ძლიერ ჩემპიონატებში მოთამაშე ფეხბურთელებმა ევროპას საკუთარი შესაძლებლობები უნდა დაანახონ. ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, კახა კალაძე, ოლეგ ლუჟნი სწორედ ჩემპიონთა ლიგის გავლით მოხვდნენ უძლიერეს ევროპულ კლუბებში. მათი ყოფილი გუნდის, კიევის „დინამოს" წლევანდელი მიზანიც იგივე რჩება, მით უფრო, რომ კვალიფიკაციაში კიეველები ბობოლებს ასცდნენ. ერევნის „პიუნიკთან" საპასუხო მატჩი, მერე კი „ლევსკი" — „სკონტოს" წყვილში გამარჯვებული, ესაა და ეს. ამ ინტერვიუში „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტი იგორ სურკისი ლიგასა და კლუბის შიდა სამზარეულოზე საუბრობს.*



იგორ სურკისი

**— თვლით, რომ „პიუნიკი" უკვე გაიარეთ?**

— ნუ ავჩქარდებით, როგორც ცხონებული ვალერი ლობანოვსკი ამბობდა, მატჩი ორი ტაიმისგან შედგება.

**— ესე იგი, საპასუხო მატჩისთვის მთელი ყურადღებით ემზადებით...**

— დიახ. მართალია, მცირე ანგარიშით წაგების უფლება გვაქვს, მაგრამ სარეიტინგო ქულებზეც უნდა ვიზრუნოთ. კარგი იქნება, თუ უკრაინას ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში ერთი ადგილი დაჯავშნული ექნება. სხვათა შორის, ამის თაობაზე უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს და გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერს ახლახან ვესაუბრე. ჩემი პროექტი შევთავაზე, რომლის მიხედვითაც, 16 საუკეთესო რეიტინგის მქონე ქვეყნის ჩემპიონი ლიგაში პირდაპირ უნდა დაუშვან. უკრაინა ამ 16 საუკეთესოში შედის. ამგვარი სისტემა, ვფიქრობ, უფრო სამართლიანი იქნება.

**— თქვენს მოსაზრებას დაეთანხმნენ?**

— ბატონი აიგნერი დამპირდა, რომ პროექტს აუცილებლად განიხილავენ. 30 აგვისტოს მონაკოში ახალშექმნილი კლუბთა საბჭოს სხდომა გაიმართება, რომელზეც ამ საკითხს კიდევ ერთხელ წამოვწევ. საერთოდ კი, მგონია, რომ ბოლო დროს უეფა სულ უფრო და უფრო ითვალისწინებს კლუბთა სურვილებს.

**— „პიუნიკის" შემდეგ მეტოქედ ვის ისურვებდით?**

— სიმართლე გითხრათ, „ლევსკი" და „სკონტო" ჯერ არ შეგვისწავლია. სოფიაში მათ თამაშს ჩვენი წარმომადგენლები დაესწრებიან და მომავალ მეტოქეზე შთაბეჭდილებებს გაგვიზიარებენ. — „პიუნიკთან" დებიუტი ჰქონდა ბრაზილიელ ლეანდროს, რომელმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა...

— ის შეცვლაზე შევიდა და ძალიან დროულადაც. შექმნა საგოლე მომენტები, აჩვენა ნაღდი ბრაზილიური დრიბლინგი, გააკეთა ზუსტი პასი, გაარტყა ძელს და რაც მთავარია, გოლი გაიტანა. ვფიქრობ, არჩევანში არ შევმცდარვართ. მოგეხსენებათ, ბოლო ხანს შეტევის გამწვავება გვიჭირდა. ასევე მგონია, რომ მეორე ბრაზილიელი, რინკონიც გაამართლებს.

**— ლუი ფელიპე სკოლარიმ თქვა, რინკონი ბრაზილიელთა ახალი თაობის უნიჭიერეს ფეხბურთელთა ხუთეულში შედისო. ასევე დაასახელა არაუჟუ, რომლის გადაბირებასაც თითქოს აპირებთ...**

— არაუჟუზე არ ვფიქრობთ, თუმც რამდენიმე ბრაზილიელს კიდევ ვაკვირდებით. სწორედ გამიგეთ, კიევში ბრაზილიური კოლონიის შექმნას არ ვაპირებთ. ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანა უკანა ხაზის გაძლიერებაა, რადგან სამი მცველი დაშავებული გვყავს.

**— ისიც ითქვა, „დინამო" ხოსე შამოტით და როკე ჟუნიორით დაინტერესდაო...**

— დიახ, „მილანს" მათ თაობაზე დავუკავშირდით. სასურველ ფეხბურთელთა სიაში ვიტალი კუტუზოვიც გვყავს. თუმც საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია.



კიევში „დინამომ" სომხურ „პიუნიკს" ზემოდან დახედა

# ბეკენბაუერმა ბალაკი ზიდანს დაატოლა



მიხაელ ბალაკმა ზინადინ ზიდანს ამ უქმეებზე აჯობა

**ფრანც ბეკენბაუერმა** „ბაიერნის“ ახალ შენაძენს, მიხაელ ბალაკს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა.

„იგი ზინედინ ზიდანის სიმაღლეზეა. ბუნდესლიგაში მისი დარი არავინაა“ — უთხრა მიუნხენელთა პრეზიდენტმა გაზეთ „დე ველტს“.

მოგეხსენებათ, „ბაიერნმა“ კვირას, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სეზონის წინა ტურნირზე „რეალს“ 2:1 მოუგო და ამ შეხვედრაში ანგარიში პენალტით, სწორედ ბალაკმა გახსნა.

ბალაკი „ბაიერნში“ ჩემპიონთა ლიგის დამარცხებულ ფინალისტ, „ლევერკუზენიდან“ 6,3 მილიონ ევროდ გადავიდა. მიუნხენში იგი, „ბაიერნიდან“, თავისუფალ აგენტად წასული შტეფან ეფენბერგის შემცვლელად ალიქმებოდა, თუმცა ფეხბურთელი ამბობს, რომ ახალ გუნდში საკუთარი სახელისა და ადგილის დასამკვიდრებლად იბრძოლებს. ბალაკთან ერთად „ლევერკუზენიდან“ ბრაზილიელი ზე რობერტოც მიუნხენში გადაბარგდა. ბეკენბაუერის ახალი შენაძენი გახლავთ ყოფილი ჰერტელი სებასტიან დაისლერიც, ხოლო სამივესი ერთად „კაიზერ ფრანცს“ ისე ეიმედება, რომ უკვე ბუნდესლიგის მე-18 ტიტულზე ლაპარაკობს.

„მაგრამ, ცხადია, გარანტია არ არსებობს — დასძენს კაიზერი — ჩვენ რომ ყოველ წელიწადს ჩემპიონები გავხდეთ, ერთ მშვენიერ დღეს სხვებს თამაში აღარ მოუნდებათ. აი, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე კი ლაპარაკი არ უნდა იყოს“.

შემდეგ ბეკენბაუერი ბრძანებს, რომ ბუნდესლიგის პირველობა მისმა გუნდმა აუცილებლად ღონივრად უნდა დაიწყოს.

„წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სეზონის [illegible] ფნა მოგვაწევს“.

პრეზიდენტის [illegible] კლუბის თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგეც ეხმიანება. მისი აზრით, ასეთი ძლიერი შემადგენლობა „ბაიერნს“ არასდროს ჰყოლია.

ული ჰიონესი, კლუბის კომერციული მენეჯერი:

„მწამს, რომ გუნდს აქვს მიზანი. შემდეგ, აშკარად ვხედავ, რომ ბალაკი განუზომელი ძალის ფეხბურთელია. ოლივერ კანი კვლავ ფორმაშია და ეს მადრიდშიც დაგვიმტკიცა. ერთი სიტყვით, ეჭვი არ მეპარება, რომ უახლოეს დღეებში „ბაიერნი“ ძლიერ გუნდად შეიკვრება“.

სხვათა შორის, ბუნდესლიგის 18 გუნდის მწვრთნელთაგან 15-მა მომავალ ჩემპიონად „ბაიერნი“ დაასახელა.

**ბაჩუნა ძიდია**

# ალ საიდის ფინტები

**ლიბიის ლიდერს**, მუამარ კადაფის იტალიური „იუვენტუსის“ აქციების წილი უკვე ნაყიდი აქვს და ახლა საბერძნეთს გადაწვდა, „პაოკის“ თანამფლობელიც რომ გახდეს.

„მასთან ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა განსაკუთრებული არაფერი ხდება. მოლაპარაკებებს თავად „პაოკის“ პრეზიდენტი უძღვება“ — განაცხადა ინფორმაციის ანონიმურმა წყარომ.

„პაოკის“ პრეზიდენტი გახლავთ გეორგის ბატატუდისი, რომელმაც ბოლო დროს ყველა ღონეს ხმარობდა, ფული რომ ეშოვნა და საამისოდ ამ ზაფხულზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელიც გაყიდა. ის კი არა, წარმატებულმა მწვრთნელმა, დუშან ბალევიჩმაც აეკ-ს მიაშურა. ამ ამბავს კლუბის ქომაგები საპროტესტოდ ჰყავდა მომართული და რამდენჯერმე, ყველაზე მოხულიგნოებმა ბატატუდისის ოფისსაც კი შეუტიეს.

არადა, სალონიკის გუნდი 76 წლისაა, ამასთან საბერძნეთის ორგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელი გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ „პაოკმა“ ამასწინათ „იუვენტუსს“ შეფიცა ძმობა — ისინი მოთამაშეებს გაცვლიან და ერთმანეთს საწვრთნელ მეთოდებს გაუზიარებენ. ეტყობა, კადაფიც „იუვენტუსმა“ გაააქტიურა, თუმცა ოფიციალურად საქმე „ლიბიის არაბთა უცხოურ ინვესტიციებთან“ გვაქვს — ასე ჰქვია კომპანიას, რომელსაც მუამარ კადაფის ვაჟი, ალ საადი უდგას სათავეში. ამ კომპანიას „იუვენტუსის“ აქციათა 4,5 პროცენტი ეკუთვნის. საინტერესოა, რომ ალ საად კადაფის ბურთაობა ისე უყვარს, რომ რამდენჯერმე ტურინში, „ბებერი ქალბატონის“ ფეხბურთელებთან ერთადაც კი წაივარჯიშა.

**ბაჩუნა ძიდია**

# ტოტის დასვენება გამოუწერეს



შენთვის რომ არ მომეცა: ფრანჩესკო ტოტი (მარჯვნივ) მაშინ დაშავდა, როცა ვინჩენცო მონტელას ჩაუწოდა

„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ისე დაშავდა, რომ „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, იქნებ ორი თვე ვერც ითამაშოს. 25 წლის ვარსკვლავს კვირას მუხლი უტკენია. ტოტის ტრავმაში ბრალი არავის მიუძღვის, ფეხბურთელი თანაგუნდელისთვის, ვინჩენცო მონტელასთვის ბურთის ჩაწოდებას ლამობდა.

„ამ ტრავმას ოპერაცია არ სჭირდება, მაგრამ 45-60 დღიანი დასვენება აუცილებელია“ — აცხადებს გაზეთი.

„კიდევ კარგი უარესი არ შემემთხვა. ახლა ყველა ღონეს ვიხმარ, რათა შეძლებისდაგვარად მალე გამოვჯანმთელდე“ — დაწერა ტოტიმ თავის საინტერნეტო ვებ-გვერდზე.

იტალიის ჩემპიონატი 1 სექტემბერს იწყება. პირველ ტურში „რომას“ მეტოქე სერია B-დან ახალაღზევებული „კომოა“.

# ჩემი იმედი აღარ გქონდეთ

## არტურ ნუმანი ჰოლანდიამ დაღალა



**გლაზგოს „რეინჯერსის“** ჰოლანდიელმა არტურ ნუმანმა, რომელმაც ეროვნულ გუნდში მთელი ათი წელი ითამაშა, დავიღალეო, თქვა და სანაკრებო კარიერა დაასრულა.

„ნუმანი ჰოლანდიის ნაკრების წევრი აღარ არის, მან ამის თაობაზე პირადად შეატყობინა დიკ ადვოკაატს“ — თქვა ჰოლანდიის ფეხბურთის კავშირის პრესმდივანმა.

32 წლის ნუმანმა, მსოფლიოს 1994 და 98 წლების, ასევე ევროპის 1996 და 2000 წლების ჩემპიონატების მონაწილემ, ნაკრების თავკაცს განუცხადა, ამიერიდან მხოლოდ კლუბისთვის გავირჯები, მეტზე ჯანი აღარ მყოფნისო.

ნუმანის სანაკრებო დებიუტი 1992 წელს შედგა და მომდევნო ათწლეულში 45 კეპი მოირგო.


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.

ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186



იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250მ².
დამხმარე ფართი 80მ² პირველ სართულზე.
ფასი შეთანხმებით
ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიკოსთან"

ქუთაისში

☎ (231) 7 17 58



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ძალით ჩემპიონები

## ან გამარჯვება, ან სიკვდილი!

**–ადამიანო,** მიცვალებულებზე წერა რომ მდომოდა, თავის დროზე „თბილისის" სანეკროლოგო განყოფილებაში ვიმუშავებდი-მეთქი — მივუგე უფროსს, მაგრამ დავალების შესრულებას თავი მაინც ვერ ავარიდე. დავალება კი ასე ჟღერდა: რახან 1930 წლის ურუგვაელებიდან ცოცხალი არავინ დარჩა, ეგებ მრმდევნო ჩემპიონატის გამარჯვებულ იტალიელთაგან მოაღწია დღემდე ვინმემ და გაიგეო.

გავიგე, ბატონო — ვერავინ.

თავად იტალიელების მოძებნა არცთუ ძნელი საქმე გახლდათ, ვინაიდან ევროპელებს საენციკლოპედიო საქმე გადასარევად აქვთ აწყობილი. მაგრამ 1934 წელს მასპინძლებთან ერთად ხომ ხუთმა სამხრეთამერიკელმაც მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. რანაირად?

–დიახ, ბრაზილიელებს თურქებთან პირველ შეხვედრაში ტყუილი პენალტი დაუნიშნეს, მერვედფინალში კი მარკ ვილმოტსის მიერ გატანილი ალალი გოლი არ ჩათვალეს, მაგრამ ვინმეს მოუბრუნდება ენა, ბრაზილიამ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი უღირსად მოიგოო? აი, 1934 წლის იტალიის ნაკრები კი ნამდვილად არ იყო ღირსეული ჩემპიონი, თუმც მის შემადგენლობაში არაერთი ვარსკვლავი თამაშობდა.

დავიწყოთ იმით, რომ შესარჩევ მატჩში (იმ დროს საკვალიფიკაციო ტურნირში ყველა თამაშობდა) იტალიელებმა ბერძნები მოისყიდეს. ეს დადასტურებული ფაქტია (საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია დღესაც იმ შენობაში ბინადრობს, იტალიელებმა რომ უყიდეს) და ამის გამო მსოფლიოს სტატისტიკისა და ისტორიის ფედერაციამ 1994 წელს ფიფას თხოვნითაც კი მიმართა, იმ ჩემპიონატის შედეგები გააუქმეთო.

საქმე მხოლოდ იმ ავადსახსენებელ მატჩს როდი ეხება (ბოლო-ბოლო, ბერძნებს ისედაც მოუგებდნენ). არც ისაა გადამწყვეტი, მუსოლინი და მისი ფაშისტური მთავრობა თავის მოთამაშეებისგან უცილობელ გამარჯვებას (ან გამარჯვება, ან სიკვდილი!), მსაჯებისგან კი თანადგომას ითხოვდნენ. ისტორიკოსთა მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ იტალიელებმა ჩემპიონატის რეგლამენტი დაარღვიეს და ეროვნულ გუნდში უცხოელები ათამაშეს.

იმდროინდელი წესით, ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრებში ნათამაშებ ფეხბურთელს, უფრო გვიანი კანონისგან განსხვავებით, შეეძლო სხვა ქვეყნის ნაკრებში ეთამაშა, ოღონდ იმ ახალ „სამშობლოში" სულ მცირე, 3 წელიწადი (უფრო ზუსტად, 1095 დღე) უნდა ეცხოვრა. ჰოდა, ადგნენ იტალიელები და განაცხადეს, რომ ბრაზილიელი ამფილოკიო მარკეს ფილიო (იტალიაში ანფილოგინო გუარიზი დაირქვა) და არგენტინელები — ატილიო დე მარია, ლუის (ლუიჯი) ფერნანდო მონტი, ენრიკე (ენრიკო) გუაიტა და რაიმუნდო ორსი — უკვე დიდი ხნის „იტალიელები" იყვნენ და საგანგაშოც არაფერი იყო. მუსოლონის შიშით ფიფამ თვლა დაივიწყა, თორემ ორსის გარდა („იუვენტუსმა" 1929 წელს იყიდა) ყველას აღმოუჩენდა, რომ მათი ბოლო მშობლიური სანაკრებო მატჩებიდან 1095 კი არა, 500 დღეც არ იყო გასული.

ასე იყო თუ ისე, იტალია გაჩემპიონდა, თუმცა...

თუმცა ჩვენ ხომ ის გვაინტერესებდა, ცოცხალი იყო ვინმე თუ არა. პასუხი თავშივე მოგახსენეთ, ქვემოთ კი მათი დაბადებისა და გარდაცვალების თარილებს ნახავთ. რაც შეეხებათ დე მარიასა და გუარიზის, მათი იმქვეყნად გამგზავრების თარილი ცნობილი არაა.

**გიგა ძოგახიძე**



1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრები

| | | |
|---|---|---|
| ლუიჯი ალემანდი | 18.11.1903 — 25.09.1978 | მცველი, 5 მატჩი |
| არმანდო კასტელაზი | 7.02.1904 — 4.01.1968 | ნახევარმცველი, 1 მატჩი |
| ლუიჯი ბერტოლინი | 13.09.1904 — 11.02.1977 | ნახევარმცველი, 4 მატჩი |
| ჯამპიერო კომბი | 20.11.1902 — 13.08.1956 | მეკარე, 5 მატჩი |
| ფელიპე პლაჩიდო ბორელი | 5.04.1914 — 21.02.1993 | თავდამსხმელი, 1 მატჩი |
| ატილიო დე მარია | 13.03.1909 — ? | თავდამსხმელი, 1 მატჩი |
| ჯოვანი ფერარი | 6.12.1907 — 2.12.1982 | თავდამსხმელი, 4 მატჩი, 2 გოლი |
| ატილიო ფერარისი | 26.03.1904 — 8.05.1947 | ნახევარმცველი, 3 მატჩი |
| ენრიკე გუაიტა | 15.07.1910 — 2.05.1959 | თავდამსხმელი, 4 მატჩი, 1 გოლი |
| ჯუზეპე მეაცა | 23.08.1910 — 21.08.1979 | თავდამსხმელი, 5 მატჩი, 2 გოლი |
| ლუის ფელიპე მონტი | 15.05.1901 — 9.09.1983 | ნახევარმცველი, 5 მატჩი |
| ერალდო მონძელიო | 5.06.1906 — 3.11.1981 | მცველი, 4 მატჩი |
| რაიმუნდო ორსი | 2.12.1901 — 6.04.1986 | თავდამსხმელი, 5 მატჩი, 3 გოლი |
| მარიო პიცოლო | 8.12.1909 — 30.04.1990 | ნახევარმცველი, 2 მატჩი |
| ვირჯინიო როზეტა | 25.02.1902 — 29.03.1975 | მცველი, 1 მატჩი |
| ანჯელო სკიავიო | 15.10.1905 — 17.09.1990 | თავდამსხმელი, 4 მატჩი, 4 გოლი |
| ანფილოგინო გუარიზი | 26.12.1905 — ? | თავდამსხმელი, 1 მატჩი |



# სკოლარი ჯერ შესანდობარს იტყვის

**ოფიციალურად** ლუიშ ფელიპე სკოლარი ჯერაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელია. ის არავის მოუხსნია, მაგრამ არც კონტრაქტი გაუგრძელებია ფეხბურთის ადგილობრივ ფედერაციასთან. ამჟამად „დიდი ფილი" ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ პორტუ ალეგრიში იმყოფება. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ნაკრების მწვრთნელს ერთ-ერთ თანაშემწეს მოულოდნელად შვილი გარდაეცვალა და სკოლარიც მას გვერდში უდგას.

ტრაგიკულმა ამბავმა ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის გეგმები შეცვალა. გადაიდო 5 აგვისტოს დაგეგმილი პრესკონფერენცია, სადაც ლუიშ ფელიპე სკოლარს თავის წასვლა-დარჩენის შესახებ უნდა ესაუბრა. ეს პრესკონფერენცია ხვალ, 8 აგვისტოს, გაიმართება. ცნობილია, რომ ფინანსურ გაჭირვებაში მყოფმა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ნაკრების მთავარი მწვრთნელს ხელფასი შეუმციროს. მიუხედავად ამისა, „დიდმა ფილმა" დაასახელა იმ ფეხბურთელთა ნუსხა, რომლებიც 21 აგვისტოს ფორტალეზში ამხანაგურად გაეჯიბრებიან პარაგვაის. ნაკრებში ტრავმის შემდეგ დაბრუნდა ემერსონი, შემადგენლობა კი ასეთია:

*მეკარეები: მარკოსი, დიდა, როჯერიუ სენი;*

*მცველები: კაფუ, ბელეტი, რობერტო კარლოსი, ჟუნიორი, როკე ჟუნიორი, ლუსიო, ანდერსონ პოლგა;*

*ნახევარმცველები: ემერსონი, ჟილბერტო სილვა, ვამპეტა, კლებერსონი, რიკარდინიო, ჟუნინიო პაულისტა, რონალდინიო, რივალდო, კაკა;*

*თავდამსხმელები: რონალდო, ლუიზაო, ედილსონი, დენილსონი.*

# მიეცით საუკეთესოს



რუუდ ვან ნისტელროის (ზურგით) ორ ნომინაციაში გამარჯვების შანსი აქვს

*უეფამ იმ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც წინა სეზონში კარგი გარჯისთვის ჯილდოებზე არიან წარდგენილნი. ამპლუების მიხედვით საუკეთესოებს, ტრადიციულად, ევროპის სუპერთასის მატჩის წინ დაასახელებენ. თავად სუპერთასისთვის მატჩი კი, ასევე ტრადიციულად, მონაკოში გაიმართება 29 აგვისტოს.*

*ნომინანტთა შერჩევა უეფას კომისიის მიერ მოხდა ორგანიზაციის საინტერნეტო გვერდზე მოწყობილი საყოველთაო გამოკითხვით. ნომინანტთა შორის კი ყველაზე მეტი ხალხი მადრიდის „რეალს" ჰყავს, რომელმაც, მოგეხსენებათ, წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგო.*

*აქვე შეგახსენებთ, რომ 2000-2001 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ „ბაიერნის" კაპიტანი შტეფან ეფენბერგი აღიარეს. ნომინანტთა ჩამონათვალი კი ასეთია:*

### საუკეთესო მოთამაშე

რუუდ ვან ნისტელროოი (მანჩესტერი),
რაული, ზინედინ ზიდანი (ორივე რეალი)

### საუკეთესო მეკარე

ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი),
ირჯი დუდეკი (ლივერპული), ოლივერ კანი (ბაიერნი)

### საუკეთესო მცველი

კაფუ (რომა), სემი ჰიიპია (ლივერპული),
რობერტო კარლოსი (რეალი)

### საუკეთესო ნახევარმცველი

მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი),
როი კინი (მანჩესტერი), პატრიკ ვიეირა (არსენალი)

### საუკეთესო თავდამსხმელი

რაული (რეალი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი),
რუუდ ვან ნისტელროოი (მანჩესტერი)

### საუკეთესო მწვრთნელი

ვისენტე დელ ბოსკე (რეალი), ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერი),
კლაუს ტოპმიოლერი (ლევერკუზენი)

# ჩვენც ხალხნი ვართ!

## ფერგიუსონმა გერმანული ცხოვრების წესი მოიწონა

**ინგლისური პრემიერლიგა** კარსაა მომდგარი, 17 აგვისტოს იწყება. „მანჩესტერ იუნაიტედს" კი ახალი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი უკვე მომდევნო კვირაში, სამშაბათს ან ოთხშაბათს ელის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე. შეგახსენებთ, რომ მანჩესტერელთა მეტოქე ხორვატული „ზაგრები" ან უნგრული „ზალაეგერსეგი" იქნება. ეს არაფერი, ამათგან რომელიც უნდა იყოს, ინგლისელებს გამარჯვება წესით, არ უნდა გაუჭირდეთ. პრობლემა სხვა რამეშია — ამსტერდამის ტურნირზე დაშავდა პოლ სქოულზი, ხოლო დევიდ ბექჰემმა ფეხი ისევ აიტკივა.

აღნიშნულ ტურნირზე, „აიაქსისა" და „მანჩესტერის" შეხვედრისას კრისტიან კივუმ უხეშად ჩასცხო სქოულზს, რაზეც გუშინაც ვწერდით და ისე დააშავა, ფეხბურთელი ტურნირის დასრულებას არ დალოდებია, შინ დაბრუნდა. ექიმები ჯერაც თავს დასტრიალებენ სქოულზს, რომელსაც შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს.

დევიდ ბექჰემმა კი დაიჩივლა: „საშინელ დაღლილობას ვგრძნობთან მაისში მოტეხილი ტერფი ცოტათი ამტკივდა. მართალია, თამაში შემიძლია, მაგრამ ტრავმის გამიზეზების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული სიფრთხილე მმართებს."

ცხადია, ამ ორი ფეხბურთელის ტრავმები დიდი დარტყმაა სერ ალექს ფერგიუსონისთვის, ვინაც „ოლდ ტრეფორდზე" თავისი მეჩვიდმეტე სეზონისთვის ემზადება.

„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ფეხბურთელები, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშეს, უახლოეს ორ-სამ კვირაში ფორმაში ჩადგებიან — უთხრა ფერგიუსონმა „დეილი მირორს" — მაგრამ ამის იმედზე ვერ ვიქნებით, ვფიქრობ, ენერგიის აღდგენას მეტი დრო დასჭირდება."

რაკი დაღლილობა ახსენა, ფერგიუსონი ინგლისის ნაკრებსაც გადასწვდა: „მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ბიჭები დაუძლურებულებს ჰგავდნენ. ერთადერთი ნაკრები, რომელიც თამაშიდან თამაშამდე უმატებდა და არ ილლებოდა, გერმანია იყო. არადა, კლასით ინგლისელი ფეხბურთელები გერმანელებს სჯობიან. ყველაფრის მიზეზი კი, გახშირებული ტრავმებისაც, ჩვენს გადატვირთულ კალენდარშია. მითხარით, როდის უნდა დაესვენეთ ფეხბურთელებს? გაიხსენეთ, ასოციაციის თასის ფინალის მერე პრემიერლიგაში კიდევ რამდენიმე ტური ჩატარდა. მსგავს სისულელეს არასდროს მოვსწრებივარ. თასის ფინალი წესით, სეზონის დასრულების მერე უნდა ტარდებოდეს. ერთი სიტყვით, ზამთრის არდადეგები აუცილებელია, რომელიც ჩვენ არ გვაქვს და აქვთ გერმანელებს. ამიტომაც წავიდა გერმანია უფრო წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე."



დევიდ ბექჰემს ტერფმა თავი შეახსენა

**ირაკლი ნინიძე**



ჯოდი მორისი



ჯონ ტერი



დეს ბაირნი

# დალიეს? აბა, იჩხუბებდნენ

**ლი ბოიერმა** და ჯონათან ვუდგეიტმა პაკისტანელი ბიჭი რომ სცემეს, გეხსომებათ, ახლა კი ინგლისში ახალი სასამართლო პროცესი დაიწყო მსგავსი შემთხვევის გამო. ბრალდებულები ჩელსელი ჯოდი მორისი და ჯონ ტერი, ასევე მათი ამფსონი, უიმბლდონელი დეს ბაირნი არიან. ინციდენტი წლეულს 4 იანვარს მოხდა, ნაფიცმა მსაჯულებმა კი საქმის დეტალები მხოლოდ გუშინ მოისმინეს.

ლონდონში, ფეშენებელურ „ნაითსბრიჯ ქლაბში", სადაც მეტწილად ლონდონური ბომონდი იკრიბება, 23 წლის ჯოდი მორისი და 21 წლისანი ტერი და ბაირნიც სტუმრობდნენ. ჯეელებმა ბლომად არაყი დალიეს და მამაძაღლობის გუნებაზე დადგნენ.

ტერიმ მავანი ცნობილი მსახიობი დალანდა, რომელსაც ავტოგრაფი სთხოვა, ხოლო როცა მსახიობი შებრუნდა, ზურგსუკან შუა თითი უჩვენა. ამ ამბავმა მორისი და ბაირნი ისე გაახალისა, რომ ახალი გასართობის მოგონება გადაწყვიტეს. მორისმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, არაყს პირში იგუბებდა და აფურთხებდა.

ოფიციანტმა საშა კიგანმა ამის შემხედვარე იფიქრა, მთვრალია, არწყევსო და თავაზიანი ღიმილით ჰკითხა, დახმარება ხომ არ გნებავთო. პასუხად მორისმა არცთუ თავაზიანად შეაგინა.

ანტონიო ბალდინი (ნაპოლი)
სტეფანო კაზალე (კოზენცა)
ნიკოლა პაგანი (კოზენცა)
ბეტონი (ქსამაქსი, შვეიცარია)

მოვიდნენ

შუნსუკე ნაკამურა (იოკოჰამა მარინოსი, იაპონია)
ვიქტორ საპატა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კარლოს პარედესი (პორტუ, პორტუგალია)
ლუკა კასტელაცი (ბრეშა)
ბრუნო ჩირილო (ლეჩე)
სერაო (პადოვა)
ნასიმ მენდილი (კოზენცა)

## გერმანია
### ბუნდესლიგა

#### დორტმუნდი

წავიდნენ

მათიას აბელი (მაინცი)
იურგენ კოლერი (კარიერა დაასრულა)
მიროსლავ სტევიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

ხუან ფერნანდესი (ესტუდიანტესი, არგენტინა)
ფრედი ბობიჩი (ბოლტონი, ინგლისი)
როლანდ ვაიდენფელერი (კაიზერსლაუტერნი)
ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი)

#### ლევერკუზენი

წავიდნენ

მიხაელ ბალაკი (ბაიერნი)
ზე რობერტო (ბაიერნი)
კრისტიან დაუნი (ვერდერი)
დუ რი ჩა (დუისბურგი)

მოვიდნენ

ჟუანი (ფლამენგო, ბრაზილია)
იან შიმაკი (ჰანოვერი)
ფაბიო როსიტო (ფიორენტინა, იტალია)
ჰანო ბალიტჩი (კიოლნი)
დანიელ ბიროფკა (მიუნხენ 1860)
ლანდონ დონოვანი (სან ხოსე, აშშ)
ფრანცა (სან პაულუ, ბრაზილია)
აქსელ ფრიცი (კარლსრუე)
კრისტოფ პროისი (აინტრახტი)

#### ბაიერნი

წავიდნენ

შტეფან ეფენბერგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ალიუ დიარა (ლივერპული, ინგლისი)
პაულო სერჟიო (აბუ-ჯაბი, საამიროები)
თომას კლინგი (ჰამბურგი)
კარსტენ იანკერი (უდინეზე, იტალია)
ჩირიაკო სფორცა (ტრანსფერზეა)

მოვიდნენ

მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი)
სებასტიან დაისლერი (ჰერტა)
ზე რობერტო (ლევერკუზენი)

#### ჰერტა

წავიდნენ

სებასტიან დაისლერი (ბაიერნი)
ალი დაეი (ალ-შაბაბი, საამიროები)
ოლოფ შრიოდერი (კიოლნი)

მოვიდნენ

შტეფან ფრიდრიხი (არმინია)
რადოსლავ კარვანი (ლეგია)
არტურ ვიშნიარეკი (არმინია)
ლუიზაო (გრემიო, ბრაზილია)

#### შალკე

წავიდნენ

ირჟი ნემეცი (ბლშანი, ჩეხეთი)
კრისტიან მიკოლაიჩაკი (ჰანოვერი)
იური მულდერი (ჰიონეფოსი, ნორვეგია)

შტეფან როჟგონი (კოტბუსი)
სალმუტერი (შტურმი, ავსტრია)
ოლაფ ტონი (კარიერა დაასრულა)

მოვიდნენ

კრისტიან პოულსენი (კოპენჰაგენი, დანია)
ფრანკ როსტი (ვერდერი)

#### ვერდერი

წავიდნენ

რადე ბოგდანოვიჩი (არმინია)
ფრანკ როსტი (შალკე)
მარკო ბოდე (ტრანსფერზეა)
ტორსტენ ფრინგსი (დორტმუნდი)
რობერტო სილვა (სპორტინგი, პერუ)

მოვიდნენ

მანუელ ფრიდრიხი (მაინცი)
მარკო რაიხი (კიოლნი)
ლეანდრო რომანიოლი (სან ლორენსო, არგენტინა)
ნიკოლაოს ხარისტიასი (არისი, საბერძნეთი)
კრისტიან დაუნი (ლევერკუზენი)

#### კაიზერსლაუტერნი

წავიდნენ

მარკ სებასტიან პელცერი (ბლექბერნი, ინგლისი)
ჯეფ შტრასერი (მიონხენგლადბახი)
ტარიბო ვესტი (ბოლტონი, ინგლისი)
პერიცა ოგნიენოვიჩი (აიაქსი, ჰოლანდია)
როლანდ ვაიდენფელერი (დორტმუნდი)
იორგ პეტერსონი (კოპენჰაგენი, დანია)
ოლაფ მარშალი (ალ იტიჰადი, საამიროები)

მოვიდნენ

კრისტიან ტიმი (კიოლნი)
მათიას კოხი (ფორტუნა, კიოლნი)
თომას ანფანგი (ტიროლი, ავსტრია)
მიხაელ ტებერი (ვალდჰოფი)
ნზელო ლემბი (ბრიუგეზი)

#### შტუტგარტი

წავიდნენ

ადემარი (სან კაეტანო, ბრაზილია)

მოვიდნენ

დიეგო ბენალია (გრასჰოპერი, შვეიცარია)
გიორგიოს ამანატიდისი (ფიურტი)
როდოლფო ფამევუ (აინტრახტი)
შტეფან კანუ (აინტრახტი)

#### მიუნხენ 1860

წავიდნენ

ფილიპ ტაპალოვიჩი (ბოხუმი)
დანიელ ბიროფკა (ლევერკუზენი)
დიდიე დედენი (აუსტრია, ავსტრია)

მოვიდნენ

არიან ჩეტკუტი (ანსბახი)
ანდრეას მაიერი (ლოზანა, შვეიცარია)
როდრიგო კოშტა (გრემიო, ბრაზილია)
დანიელ შვარცი (უნტერჰახინგი)

#### ვოლფსბურგი

წავიდნენ

ანჟეი იუსკოვიაკი (კოტბუსი)
ბოჟან პეტკოვიჩი (ნიურნბერგი)
ვალდემარ კრიგერი (ტრანსფერზეა)
დიტმარ კუჰბაუერი (მატერსბურგი, ავსტრია)

მოვიდნენ

პეტერ მადსენი (კოპენჰაგენი, დანია)
როი პრეგერი (ჰამბურგი)
იესპერ კრისტიანსენი (რეინჯერსი, შოტლანდია)

#### ჰამბურგი

წავიდნენ

მარსელ კეტელაერი (მიონხენგლადბახი)
როი პრეგერი (ვოლფსბურგი)

მოვიდნენ

მიხაელ ბაური (ტიროლი, ავსტრია)
კრისტიან ლედესმა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კლაუს იაკობსენი (ოდენსე, დანია)
ვოლფგანგ კიცბიხლერი (ზალცბურგი, ავსტრია)
თომას კლინგი (ბაიერნი)
მიროსლავ რანი (ზანკტ პაული)

#### მიონხენგლადბახი

წავიდნენ

მარსელ მაიცელი (ლეგია, პოლონეთი)
პეტერ ნილსენი (კოპენჰაგენი, დანია)

მოვიდნენ

მარსელ კეტელაერი (ჰამბურგი)
ჯეფ შტრასერი (კაიზერსლაუტერნი)
იორის ვან ჰაუტი (ანდერლეხტი, ბელგია)

#### კოტბუსი

წავიდნენ

რუდი ვატა (აალენი)
იანუშ მატიუში (პერუჯა, იტალია)

მოვიდნენ

ანჟეი იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი)
მარკო გებჰარდტი (აინტრახტი)
ფერენც ლიოვი (უიპეშტი, უნგრეთი)
რენე შრიოდერი (ჰანზა)
შტეფან როჟგონი (შალკე)
რენე ვაგნერი (უიპეშტი, უნგრეთი)

#### ჰანზა

წავიდნენ

კაი ოსვალდი (ჰანოვერი)
რაიკ შრიოდერი (კოტბუსი)
კრეშო კოვაჩიჩი (აუგსბურგი)
მარკო ვაისჰაუპტი (ლიუბეკი)
მოჰამედ ემარა (ალ აჰლი, ეგვიპტე)
იასერ რადვანი (ალ აჰლი, ეგვიპტე)
ჰილმარ ვაილანდტი (უცნობია)
სვენ ბენკენი (უცნობია)
კრისტიან ბრანდი (უცნობია)

მოვიდნენ

რადე პრიკა (ჰელსინგბორგი, შვედეთი)

გერდ ვიმერი (აინტრახტი)
მარკო ჰაბერი (უნტერჰახინგი)
გოტფრიდ ადუბე (როიტლინგენი)
იოხენ კინცი (ზანკტ პაული)
თომას მეგლე (ზანკტ პაული)
ანდრეას მიორლე (პფულენდორფი)
იოაკიმ პერსონი (ესბიერგი, დანია)

#### ნიურნბერგი

წავიდნენ

არავინ

მოვიდნენ

საშა ჩირიჩი (აინტრახტი)
დუშან პეტკოვიჩი (ვოლფსბურგი)
მილორად პოპოვიჩი (ოფკ, იუგოსლავია)
მილან ბელიჩი (ოფკ, იუგოსლავია)
კულერი (ამატური)
რადე ტოდოროვიჩი (სლავია, ბულგარეთი)

#### ჰანოვერი

წავიდნენ

იან შიმაკი (ლევერკუზენი)

მოვიდნენ

ბლეიზი ნკუფო (მაინცი)
ირჟი სტაინერი (ლიბერეცი, ჩეხეთი)
მარკ ვან ჰინტუმი (ვიტესი, ჰოლანდია)
ანტონ დე გუზმანი (ზაარბრიუკენი)
ბერნდ ჰაასი (აინტრახტი)
ალასან იდრისუ (ვეჰენი)
კრისტიან მიკოლაიჩაკი (შალკე)
ბადი ოსვალდი (ჰანზა)
დანიელ შულერი (მაინცი)

#### არმინია

წავიდნენ

შტეფან ფრიდრიხი (ჰერტა)
იორგ ბოდე (აუგსბურგი)
ანდრე ჰოფშნაიდერი (აუგსბურგი)
არტურ ვიშნიარეკი (ჰერტა)
ალექსანდერ კლიცპერა (ალემანია)

მოვიდნენ

რადე ბოგდანოვიჩი (ვერდერი)
ნიკო იანიჩი (როიტლინგენი)
როლფ კიუგლერი (დორტმუნდი მოყვ.)
კრისტიან ლენსე (დარმშტადტი)
მაცეი მურავსკი (ლეგია, პოლონეთი)
ხუან სინისტერა (ბანფილდი, არგენტინა)
ბერნდ რაუვე (ალემანია)

#### ბოხუმი

წავიდნენ

პეტერ პეშელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დინო ტოპმიოლერი (აინტრახტი)

მოვიდნენ

რაიმონ კალა (ესტრემადურა, ესპანეთი)
ტოდი გუდიონსონი (პრესტონი, ინგლისი)
ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860)
მიხაელ ვრაიზდე (იურდინგენი)

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

### პრემიერლიგა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მიდლსბროშ" პოლ ინსი (მარჯვნივ) „ვულვერჰემპტონისთვის" გაიმეტა

## არსენალი

**წავიდნენ**

დევიდ გრონდინი (კაენი, საფრანგეთი)
იუნიჩი ინამოტო (ფულემი)
ალექს მანინგერი (ესპანიოლი, ესპანეთი)
ალბერტო მენდესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტონი ადამსი (თამაში მიატოვა)
ჟილ გრიმანდი (თამაში მიატოვა)
რონ რიკეტსი (ტოტენჰემი)
ჯონ ჰალსი (ბევერენი, ბელგია)
ლაიამ ჩილვერსი (ბევერენი, ბელგია)
სტივენ სიდუელი (ბევერენი, ბელგია)
რიჩარდ რაიტი (ევერტონი)

**მოვიდნენ**

ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია)
პასკალ სიგანი (ლილი, საფრანგეთი)
ჟილბერტო სილვა (მინეირო, ბრაზილია)
სებასტიან რამბერტი (ირაკლისი, საბერძნეთი)

## ლივერპული

**წავიდნენ**

გარი მაკალისტერი (ქოვენთრი)
ნიკოლა ანელკა (პსჟ, საფრანგეთი)
ჯეიმი რედნაპი (ტოტენჰემი)
იარი ლიტმანენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ალიუ დიარა (ლე ავრი, საფრანგეთი)

**მოვიდნენ**

ბრუნო შეირუ (ლილი, საფრანგეთი)
ალიუ დიარა (ბაიერნი, გერმანია)
ელ-ჰაჯი დიუფი (ლანსი, საფრანგეთი)
სალიფ დიაო (სედანი, საფრანგეთი)
პატრის ლუზი (მონაკო, საფრანგეთი)

## მანჩესტერ იუნაიტედი

**წავიდნენ**

რონი უოლვორკი (ვესტ ბრომვიჩი)
რაიმონდ ვან დერ გოუ (ვესტ ჰემი)
პოლ რაჩუბკა (ჩარლტონი)
მარკ ლინჩი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია)
ნიკოლას ბაქსტერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნიკ კალკინი (ქუინზ პარკ რეინჯერსი)
დენის ირვინი (ვულვერჰემპტონი)
რონი იონსენი (ასტონ ვილა)
დუაიტ იორკი (ბლექბერნი)
ენდი ტეილორი (ნორვიჩი)
კევინ გროგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ნიკ სტილი (პიტერბრო)
რიო ფერდინანდი (ლიდსი)

## ნიუკასლი

**წავიდნენ**

კარლ კოლი (შეფილდ იუნ.)
მარკ ბოიდი (პორტ ვეილი)
სტივ კოლდუელი (ბრედფორდი)
გარი კოლდუელი (ქოვენთრი)
სტიუარტ გრინი (კარლაილი)
ჯეიმს კოპინგერი (ექსეტერი)
დისტინი (მანჩესტერ სიტი)

**მოვიდნენ**

უგო ვიანა (სპორტინგი, პორტუგალია)
სილვენ დისტინი (პსჟ, საფრანგეთი)
ტიტუს ბრემბლი (იფსვიჩი)

## ლიდსი

**წავიდნენ**

დენი ჰეი (უოლსოლი)
რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნ.)

**მოვიდნენ**

არავინ

## ჩელსი

**წავიდნენ**

სემ დალა ბონა (მილანი, იტალია)
ლეონ ნაითი (ჰადერსფილდი)
სლავიშა იოკანოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

ენრიკე დე ლუკასი (ესპანიოლი, ესპანეთი)
გაბრიელე ამბროზეტი (პიაჩენცა, იტალია)
ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი)

## ვესტ ჰემი

**წავიდნენ**

რიგობერტ სონგი (კიოლნი, გერმანია)
ჰეიდენ ფოქსი (პორტსმუთი)
სვენ ანდერსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაიკლ ფერანტე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კრეიგ ფორესტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შაკა ჰისლოპი (პორტსმუთი)
პოლ კიტსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სტივენ პოტსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ომერ რიზა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გარი ჩარლზი (კარიერა დაასრულა)
რაგნვალდ სომა (ბრინი, ნორვეგია)

**მოვიდნენ**

იუსუფ სოფენე (ოსერი, საფრანგეთი)
ოსკარ გარსია (ესპანიოლი, ესპანეთი)
რაიმონდ ვან დერ გოუ (მანჩესტერ იუნ.)
გარი ბრინი (ქოვენთრი)
ედუარდ სისე (პსჟ, საფრანგეთი)

## ასტონ ვილა

**წავიდნენ**

დიონ დაბლინი (მილუოლი)
პიტერ შმაიხელი (მანჩესტერ სიტი)
ჯორჯ ბოატენგი (მიდლსბრო)
პოლ მერსონი (პორტსმუთი)

**მოვიდნენ**

მაიკლ ბულდინგი (გრიმსბი)
მარკუს ოლბოკი (ჰერენვენი, ჰოლანდია)
ლი გრანტი (იორკი)
რონი იონსენი (მანჩესტერ იუნ.)
აარონ პოსტმა (გრააფსხაპი, ჰოლანდია)
ულისე დე ლა კრუზი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)

## ტოტენჰემი

**წავიდნენ**

კრის არმსტრონგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
იანიკ კამანანი (სტრასბური, საფრანგეთი)
დარენ ანდერტონი (ტრანსფერზეა)

**მოვიდნენ**

ჯეიმი რედნაპი (ლივერპული)
მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია)
ჯონათან ბლონდელი (მუსკრონი, ბელგია)
რონ რიკეტსი (არსენალი)
კუ ბო (კინგდაო ჰაინიუ, ჩინეთი)

## ბლექბერნი

**წავიდნენ**

კორადო გრაბი (მესინა, იტალია)
საიმონ გრეისონი (ბრედფორდი)
ჯეიმს ტომასი (ბრისტოლ როვერსი)
მარკ ჰიუზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბენ ბურგესი (სტოკპორტი)

**მოვიდნენ**

მარკ სებასტიან პელცერი (ლაუტერნი, გერმანია)
ენდი ტოდი (ჩარლტონი)
დუაიტ იორკი (მანჩესტერ იუნაიტედი)

## საუთჰემპტონი

**წავიდნენ**

სკოტ მაკდონალდი (პრესტონი)
დენი როდრიგესი (უოლსოლი)
სკოტ ბივენი (ჰადერსფილდი)
ჯაჩინტო ელა ეიენი (ერკულესი, ესპანეთი)
დან პეტრესკუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

მიხაელ სვენსონი (ტრუა, საფრანგეთი)
ჩუნ-სოო ლი (ულსან ჰიუნდაი, ს. კორეა)

## მიდლსბრო

**წავიდნენ**

ენტონი ორმეროდი (ჰარტლპული)
დინ გორდონი (ქოვენთრი)
პოლ ინსი (ვულვერჰემპტონი)
მარლონ ბერესფორდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბენიტო კარბონე (კომო, იტალია)
რობი მასტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

მასიმო მაკარონე (ემპოლი, იტალია)
ჟუნინიო პაულისტა (ატლეტიკო, ესპანეთი)
ჯერემი ნჯიტაპი (რეალი, ესპანეთი)
ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა)
იესპერ ბლომკვისტი (ევერტონი)

## ფულემი

**წავიდნენ**

მარკუს ჰანემანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლ ტროლოპი (ნორტჰემპტონი)

**მოვიდნენ**

მარტინ ერერა (ალავესი, ესპანეთი)
ფაკუნდო სავა (ხიმნასია, არგენტინა)
იუნიჩი ინამოტო (არსენალი)
მარტინ ჯეტუ (პარმა, იტალია)
ვიქტორ სიკორა (ვიტესი, ჰოლანდია)

## ჩარლტონი

**წავიდნენ**

გრეგ შილდსი (კილმარნოკი, შოტლანდია)
ენდი ტოდი (ბლექბერნი)
პოლ რაჩუბკა (ოლდემი)
ედი იუდსი (ჰადერსფილდი)
ჯამალ კემპბელ-რაისი (ლეიტონი)

**მოვიდნენ**

პოლ რაჩუბკა (მანჩესტერ იუნ.)
კრის ბარტ-უილიამსი (ნოტინგემი)
გარი როუეტი (ლესტერი)

## ევერტონი

**წავიდნენ**

ალექს ნიარკო (მონაკო, საფრანგეთი)
იესპერ ბლომკვისტი (მიდლსბრო)

**მოვიდნენ**

ლი ვეიფენგი (შენჟენ პინგანი, ჩინეთი)
ჟოზეფ იობო (მარსელი, საფრანგეთი)
ლი ტიე (ლიაონინგი, ჩინეთი)
რიჩარდ რაიტი (არსენალი)

## ბოლტონი

**წავიდნენ**

დინ ჰოლდენი (ოლდემი)
როდ უოლესი (ჯილინგემი)
კლივლენდ ტეილორი (ექსეტერი)
პოლ უიტკროფტი (სკანთორპი)
ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი, გერმანია)

**მოვიდნენ**

ბიულენთ აკინი (გალათასარაი, თურქეთი)
აუგუსტინ ოკოჩა (პსჟ, საფრანგეთი)
ტარიბო ვესტი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)
ბერნარ მენდი (პსჟ, საფრანგეთი)
ჟოზე ლუიშ ჟუნიორი (ტრეზე, ბრაზილია)
დელრონ ფეისი (ჰადერსფილდი)

## სანდერლენდი

**წავიდნენ**

პატრიკ მბომა (პარმა, იტალია)

**მოვიდნენ**

პოლ ტრონტონი (ტრანმერი)
ფილ ბები (სპორტინგი, პორტუგალია)
თომას მირე (ბეშიქთაში, თურქეთი)
შონ ტორნტონი (ტრანმერი)

## მანჩესტერ სიტი

**წავიდნენ**

ტაირონ მირსი (პრესტონი)
ალიუნ ტურე (პსჟ, საფრანგეთი)
რიჩარდ ეჯილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სილვენ დისტინი (პსჟ, საფრანგეთი)
ტერი კუკი (გრიმსბი)
კრის კილენი (ოლდემი)

**მოვიდნენ**

მარკ-ვივიენ ფოე (ლიონი, საფრანგეთი)
ნიკოლა ანელკა (პსჟ, საფრანგეთი)
მატიას ვუოსო (ინდეპენდიენტე, არგენტინა)
ტაირონ ლორანი (ვოლენდამი, ჰოლანდია)
მიკელ ბიშოფი (კოპენჰაგენი, დანია)
პიტერ შმაიხელი (ასტონ ვილა)
დისტინი (ნიუკასლი)
სტილი (პიტერბრო)

## ვესტ ბრომვიჩი

**წავიდნენ**

არავინ

**მოვიდნენ**

რონი უოლვორკი (მანჩესტერ იუნ.)
ჯო მერფი (ტრანმერი)
ლი მარშალი (ლესტერი)
შონ გრიგერი (პრესტონი)
მაკბეტ სიბაია (იომო კოსმოსი, ს. აფრიკა)

## ბირმინგემი

**წავიდნენ**

დელე ადებოლა (ოლდემი)
ტრევორ ტირნი (ფორესტ გრინი)
დენი სონერი (უოლსოლი)
ენდრიუ ჯონსონი (კრისტალ პალასი)

**მოვიდნენ**

რობი სევიჯი (ლესტერი)
პიტერ აზერტონი (ბრედფორდი)
ალიუ სისე (პსჟ, საფრანგეთი)
ემანუელ ოლისადებე (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
კენი კანინგემი (უიმბლდონი)
კლინტონ მორისონი (კრისტალ პალასი)

# სპორტთან და მეცნიერებასთან წილნაყარი კაცის ცხოვრება

**პლატონს ხეიბრად მიაჩნდა წერა-კითხვის უცოდინარიც და ისიც, ვისაც ცურვა ან რბენა არ შეეძლო. ოლონდაც, პლატონი ამ მხრივ გამონაკლისი სულაც არ იყო — ძველ საბერძნეთში ხომ ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს ეთაყვანებოდნენ და მის კულტს აბატონებდნენ. სწორედ ასეთი ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება გახლდათ თბილისელი ლევან სანაძე. სამწუხაროდ, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მედალოსანი ქართველი სპორტსმენებიდან მძლეოსანი ლევან სანაძე ნინო დუმბაძესთან ერთად გამონაკლისია, რომელიც ამ ასპარეზობის 50-წლიან საიუბილეო თარიღს ვერ მოესწრო.**



**ლევან სანაძე** 1999 წელს გარდაიცვალა მოსკოვში, სადაც იგი 30 წლის წინათ სამუშაოდ გადასახლდა და ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. იქაც, ისევე როგორც თბილისში, უაღრესად ინტელიგენტური, განათლებული და ფრიად ავტორიტეტული სპეციალისტის სახელი დაიგდო.

სწორედ ასე ახასიათებენ ლევან სანაძეს მისი მეგობრები და თანაგუნდელები.

როცა სანაძის პროფესიონალიზმზე საუბრობენ, იხსენებენ მის სპორტულ ოსტატობას, ამ სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობასა და განათლებას, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე მიიღო. ამ ინსტიტუტში დიპლომის დაცვიდან სულ რაღაც სამ წელიწადში მასალათა გამძლეობაში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და კათედრაზე დოცენტის რანგში განაგრძო მუშაობა. იგი ქართულთან ერთად ჩინებულად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღოდა ლევანის გერმანელ დედას.

სწავლისადმი ინტერესს ბავშვობიდანვე იჩენდა. საშუალო სკოლაც ოქროს მედალზე დაამთავრა. სწავლაში დამსახურებულ ამ ოქროს მედალს მალე საკავშირო სპორტულ სარბიელზე, ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ პაექრობაში თუ სხვა საერთაშორისო ასპარეზობებში მოპოვებული „ოქრო-ვერცხლი" მოჰყვა. მერე შრომითი საქმიანობა იყო და იქაც ოქროს მედალი დაიმსახურა. ეს იყო იუნესკოს ოქროს მედალი, რომლითაც უკვე მოსკოვში მოღვაწეობისას, საკავშირო სპორტკომიტეტში მძლეოსნობის სამმართველოს უფროსის რანგში დაჯილდოვდა. ეს ჯილდო, როგორც სანაძის უმცროსი მეგობარი, მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი და თავადაც ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე რევაზ ტრაპაიძე იხსენებს, ძალზე ეამაყებოდა და შესაბამის დიპლომთან ერთად მოსკოვში სამუშაო კაბინეტში ჰქონდა გამოფენილი.

მთელ ამ ისტორიაში საინტერესო ისაა, რომ სანაძე ერთმანეთს კარგად უთავსებდა სპორტში მოუღელ ვარჯიშს, ამ სფეროში საქმიანობას, მეცნიერულ მოღვაწეობას, სამსახურებრივ მოვალეობას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი სპორტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც აერთიანებდა.

ამ ისტორიაში არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ლევან სანაძე პრაქტიკულად უმამოდ იზრდებოდა. მამამისი, გიორგი სანაძე, ცნობილი აგრონომი იყო, მაგრამ იმ ავბედითი 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა რეპრესიები მძვინვარებდა, ვერც სანაძეების ოჯახი გადაურჩა დაწიოკებას.



მოსახვევში რბენის დიდოსტატი ლევან სანაძე

გიორგი სანაძე ათი წლით მაშინ გადაასახლეს, როცა ლევანი 8-9 წლისა იყო.

— მალე ლევან სანაძე, ისე როგორც ბევრი მისი თანატოლი, ფეხბურთმა გაიტაცა — იხსენებს რევაზ ტრაპაიძე — ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგმა, ცხონებულმა ოლეგ ლაკერბაიამ ლევანი თავისთან იხმო და ურჩია, ისე სწრაფად დარბიხარ, რომ შენგან კარგი მძლეოსანი დადგებაო. ასე მოვიდა ლევან სანაძე სარბენ ბილიკებზე, სადაც იმთავითვე გამოირჩეოდა. უფროსთა შეჯიბრებაში პირველად 1948 წელს ისახელა თავი. მაშინ ხარკოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში 100 მეტრზე რბენაში თავდაპირველად გამარჯვებულად გამოაცხადეს, მეორე ადგილი კი მოსკოველ ნიკოლაი კარაკულოვს მიაკუთვნეს. იმ დროისთვის კარაკულოვი საბჭოთა კავშირის თერთმეტგზის ჩემპიონი იყო და უდიდესი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ამიტომ მისი ბანაკის წევრთა პროტესტმა გაჭრა და სანაძესა და კარაკულოვს ადგილები შეუცვალეს. დაადგინეს, ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა, მაგრამ კარაკულოვმა მკერდით მოიგოო. თუმცა, იმ შეჯიბრებაზე ვერცხლის მედალთან ერთად ოქრო მაინც მოიპოვა, როცა პროფკავშირული „კვარტეტის" შემადგენლობაში გილდესთან, შაელსკისთან და კორევთან ერთად 4X100 მეტრზე ესტაფეტაში საბჭათა კავშირის ჩემპიონი გახდა. ამის მერე სანაძე საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს და მისი აღმაფრენაც დაიწყო.

ლევანმა განსაკუთრებით გუნდური მებრძოლის სახელი დაიგდო და დიდი წვლილი შეჰქონდა საბჭოთა ოთხეულის წარმატებებში. ასე იყო, მაგალითად, 1950 წელს ბრიუსელში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც სანაძემ სუხარევთან, კალიაევთან და კარაკულოვთან ერთად ოქროს მედლის მოპოვება იზეიმა. მომდევნო წელს ბუქარესტში გამართულ რუმინეთისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა მატჩში სანაძემ კალიაევთან, სუხარევთან და გოლუბევთან ერთად 4X200 მეტრზე საკავშირო რეკორდი (1.26,6) დაამყარა.

1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე სანაძემ ტოკარევთან, კალიაევთან და სუხარევთან ერთად ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

საერთოდ, სანაძე, კალიაევი და სუხარევი წლების განმავლობაში საბჭოთა ოთხეულის უცვლელი წევრები იყვნენ, დარჩენილ ერთ ადგილს კი სხვადასხვა მძლეოსნები მონაცვლეობით იკავებდნენ.

— ამ კვარტეტში, ბუნებრივია, ყველას თავისი ადგილი ჰქონდა — იხსენებს რევაზ ტრაპაიძე — სანაძე ესტაფეტაში მუდამ მესამე გამოდიოდა. მოგეხსენებათ, მესამე ეტაპზე გამომსვლელს მოსახვევში უწევს რბენა, ამ საქმის დიდოსტატად კი სწორედ სანაძე ითვლებოდა. თუმცა, იგი სტარტსაც სხვებზე უკეთ იღებდა. ამიტომ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე მწვრთნელები დილემის წინაშე დადგნენ. აღარ იცოდნენ, სანაძე პირველ ეტაპზე გამოეყვანათ თუ მესამეზე. ბოლოს ისევ მესამეზე გაამწესეს, რაკი იგი აქ სხვებზე ერთი კი არა, ორი თავით მაღლა იდგა. ასე იყო თუ ისე, სანაძეს და მის თანაგუნდელებს მხოლოდ ამერიკელებმა აჯობეს. ჩვენი ოთხეულის ვერცხლის მედალი, რაღა თქმა უნდა, დიდი მიღწევა იყო.




ლევან სანაძე ჰელსინკიში

ლევან სანაძე იმავე წელს მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 4X100 მეტრზე. ამ სახეობაში მომდევნო წლებშიც წარმატებით გამოდიოდა. მაგალითად, 1953 წელს ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბუქარესტში გამართულ ახალგაზრდობის I საერთაშორისო მეგობრულ თამაშებზე, 1954 წელს ბუდაპეშტში სტუდენტთა XII მსოფლიო თამაშების ჩემპიონიც გახდა, 100 მეტრზე რბენაში კი მეორე იყო.

ყოველივე ამასთან, სანაძე 100 და 200 მეტრზე რბენაში იყო სსრ კავშირის ჩემპიონატების ოთხგზის ვერცხლისა და შვიდგზის ბრინჯაოს პრიზიორი, 1952 წელს კი 100-მეტრიან დისტანციაზე საკავშირო რეკორდიც დაამყარა (10,3).

ლევან სანაძეს 1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზეც ძალიან სურდა გამოსვლა, ოღონდ იმჯერად 4X400 მეტრზე, მაგრამ საბჭოთა ნაკრებში ვეღარ მოხვდა. მომდევნო წელს ლევან სანაძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს, მერე კი შრომითი საქმიანობაც დაიწყო.

ყოველივე ამის გახსენებისას სიმბოლურად გვესახება, რომ ლევან სანაძე სპორტულ სარბიელზე „ნაჯახის" ღირსებას იცავდა. სპორტთან და მეცნიერებასთან ნაზავი ურთიერთობა სანაძეს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი პარალელურად თბილისის სკოლა-ინტერნატშიც მუშაობდა და მძლეოსნობაში მოზარდ თაობას ავარჯიშებდა. იყო საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, 1964-1974 წლებში კი 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ. იქიდან მოსკოვში, მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების მთავარი სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. მერე, როცა საბჭოთა მძლეოსნობის მიღწევები გაფერმკრთალდა, საკავშირო სპორტკომიტეტში ამ სახეობის სამმართველოს უფროსად უხმეს.

— ლევან სანაძის საბჭოთა მძლეოსნური სამყაროს სათავეში მოსვლამ ეს სახეობა კვლავ წელში გამართა — იხსენებს რევაზ ტრაპაიძე — იგი სასწაულებრივი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ასეთი იყო, როცა სპორტს აქტიურად მისდევდა და ასეთად დარჩა, როცა შრომითი საქმიანობა დაიწყო. ამასვე ითხოვდა სხვებისგანაც და მის ტემპს ყველა ვერ უძლებდა. მძლეოსნობის სამმართველოს უფროსის პოსტზე სანაძე იგორ ტერ-ოვანესიანმა შეცვალა. როგორც სპორტსმენი, ტერ-ოვანესიანი სანაძეზე დიდი იყო, მაგრამ როგორც მუშაკი და ხელმძღვანელი, ლევანი მთელი თავით მაღლა იდგა. ამიტომ, როცა ლევან სანაძემ მძლეოსნობის სამმართველო დატოვა, ეს სახეობა ისევ დაღმა დაეშვა. თუმცა, სანაძეს მძლეოსნობა და სპორტი არც ამის მერე მიუტოვებია. იგი მოსკოვის პროფკავშირული სპორტსაზოგადოების თავმჯდომარედ დანიშნეს, ბოლოს კი ისევ მოსკოვში განათლების სისტემაში მძლეოსნობის მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. ოღონდაც, სადაც არ უნდა ყოფილიყო, საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას მზრუნველობას არ აკლებდა. თუნდაც ჩვენი მაია აზარაშვილის საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში ჩარიცხვა და მის მიერ 4X200 მეტრზე სეულის ოლიმპიურ თამაშების ბრინჯაოს მედლის მოპოვება გავიხსენოთ. მაია ყოველივე ამას იმსახურებდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს მუდამ საკმარისი არ იყო. სწორედ ლევან სანაძის რჩევით დაიწყო მაიამ მისთვის უჩვეულო საესტაფეტო სამზადისი და ნაკრებშიც მისივე რეკომენდაციით ჩაირიცხა.

ლევან სანაძეს სხვაც ბევრი სიკეთე გაუკეთებია ქართული სპორტისთვის.

**ავთანდილ გურასაშვილი**



4X100 მეტრზე მორბენალთა ფინიში ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე



ტოკარევი, კალიაევი, სანაძე და სუხარევი

# სიყვარულის მასწავლებელი

## ამ კაცმა კალათბურთს მრავლი უმრავლა

*ორშაბათს ღამით ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში 85 წლისა გარდაიცვალა ჩიკ ჰერნი. ჩვენში მას არ იცნობდნენ, მაგრამ მის სამშობლოში ამ ამბავმა მრავალი დაამწუხრა. ჰერნს ცხოვრებაში არ უსვრია თუნდაც ერთი ბურთი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მეტოქეთა კალათში, მაგრამ „ლეიკერსის" შინაურ თამაშებზე არც ერთი მნიშვნელოვანი ბურთი არ დაუტოვებია უკომენტაროდ. მას „ლეიკერსის" ხმას ეძახდნენ, ჩიკ ჰერნს 42 წელი მიჰყავდა ტელევიზიასა და რადიოში „ლეიკერსის" შინაური თამაშები. ზუსტად ამდენი წლისაა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი"*



„აღარასოდეს იქნება ამქვეყნად სხვა ჩიკ ჰერნი და ვერც ლოს ანჯელესი იქნება უმისოდ ძველი ლოს ანჯელესი. ის იყო კაცი, რომელიც ყველას დიდხანს ემახსოვრება. ის მი ცნობილ თავანია, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე მაღლა დგანან. იგი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე პროფესია" — თქვა ლეგენდარულმა ლეიკერსელმა მეჯიქ ჯონსონმა.

„ლოს ანჯელესმა დაკარგა ამ კაცში განსახიერებული ქალაქის სული, ქალაქის ხმა და კარგი ადამიანი. ის ხმა აღარ აზლავს „ლეიკერსის" თამაშებს, მაგრამ მისი ხმა ჩვენშია და, ისევე როგორც წლების განმავლობაში, გვიაღელვებს კალათბურთის სრულად აღქმას. ჩიკი შეუცვლელია, მან თავად შეცვალა ყველაფერი თავის გარშემო. მან სულ სხვანაირად დაგვანახვა კალათბურთი, ჩაგვახედა მის სიღრმეებში" — ჯერი ვესტი, 60-იანი წლების ლეგენდარული ლეიკერსელი, მოგვიანებით ამ გუნდის არანკლებ წარმატებული ხელმძღვანელი, ნბა-ს ლურჯ-თეთრ ემბლემაზე გამოსახული კალათბურთელი.

ამერიკაში არ დარჩენილა კალათბურთში (და სხვა საქმეში) მოსაქმისე ცნობილი პირი, ვისაც ჩიკ ჰერნზე ორიოდ სიტყვის თქმა დაეზარებოდა. ასევ გულწრფელი იყო ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნის სიტყვები: „ჩიკ ჰერნმა კალათბურთს უამრავი ქომაგი შესძინა, ის იყო ხატოვანი სიტყვის ოსტატი, თავისი საქმის ლეგენდა".

1960 წლიდან, როცა საკალათბურთო კლუბი „ლეიკერსი" ქალაქ მინეაპოლისიდან ლოს ანჯელესში გადაბარგდა, ჰერნი ამ გუნდის ხმად იქცა. მას ხელში გამოიარა ლოსანჯელესელთა ყველა თაობამ და მათ ყველა წარმატების ამ კაცის კომენტარი სიტყვა ახლდა. 1965 წლიდან 2001 წლის დეკემბრამდე მას არ გამოუტოვებია „ლეიკერსის" არც ერთი შინაური თამაში: ზედიზედ წაიყვანა 3338 მატჩი. 1998 წელს, როცა ჰერნი თავის მე-3000 თამაშს მიადგა, „ლეიკერსის" ზორბა ცენტრ შაკილ ონილს უთქვამს, 3000 რა ამბავია, ვერ წარმოდგენია, ცხოვრებაში ამდენჯერ გამიზნული როგორ უნდა გაკეთო ერთი და იგივე.

იმაზე, რასაც ჰერნი ლაბის ყოველდღიურად აკეთებდა, ერთი და იგივე ნაღდად არ ითქმის. შაკილ, მისი თანამედროვეები და წინა თაობები დღეს ლაპარაკობენ იმ ტერმინებით, რომელთა დიდი ნაწილი ჰერნმა დაამკვიდრა ამერიკულ საკალათბურთო ლექსიკაში. „ჩვენ მივიჩვიეთ კალათბურთის საზომებით გაზომვას, რომელიც ჰერნმა დაგვაჩნა, ისე, რომ არც ვიფიქრობთ ხოლმე..." — ამბობს მიკ ბრუნი.

ჰერნმა გამოიგონა „ჩარილი ნაგავი" „ყველა გდებისას — „ხლემ დანქი". მისავე მჭვერ ენას ეკუთვნის სხვა უამრავი ტერმინი, რომელთა ჩამოთვლა აქ უადგილოა, მაგრამ ოკეანეამე საკალათბურთო ფრაზეოლოგიის განუყოფელი ნაწილია.

„ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც მივხვდი, კალათბურთი გაცილებით ღრმაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს ჩიკ ჰერნის დამსახურებაა. კალიფორნიაში, სან დიეგოში ვიზრდებოდი და „ლეიკერსის" თამაშების რადიოს ვეხუტებოდი. ვარსებობდით მხოლოდ მე და ჩიკის ხმა, რომელსაც სიტყვასიტყვით ვხატავდი. მაშინ მე მავიწყდებოდა ყველაფერი სხვა. ჩიკმა მე დაუსწრებლად მასწავლა და შემაყვარა კალათბურთი" — თქვა 70-80-იანი წლების ლეგენდარულმა კალათბურთელმა ბილ უოლტონმა, რომელიც ახლა თავად კომენტატორობს ენბიეი-ზე.

ნახევარი წლის წინ ჰერნს გულის მძიმე შეტევა ჰქონდა და ორჯერის ოპერაციაც გაიკეთა. ექიმებმა ხმიერეთ და დასვენება ურჩიეს, მაგრამ ის მაინც მოუბრუნდა სამუშაოს და გამოაცხადა, რომ 2002 წლის ფინალში „ლეიკერსმა" 4:0 მოიგო „ნიუ ჯერსის". „ლეიკერსი" მის ხელში მეცხრედ გახდებოდა. 2002 წლის 5 აგვისტოს კი მან დატოვა ის სამყარო, რომელსაც ამხელა შემკიდრობა დაუტოვა.

**ირაკლი ფირუზიშვილი**

# ნუ იკიდებ!

## თანაც ამბავი ყოჩაღი ბეიბისა და ტაბილი ბებიისა



ცვლილებაა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამზადებულ აშშ-ის საკალათბურთო ნაკრებში. გუშინწინ გაირკვა, რომ ამერიკაშივე, ქალაქ ინდიანაპოლისში 28 სექტემბრიდან გასამართ მსოფლიოს პირველობაზე მონაწილეობას ვერ შეძლებდა „ნიუ ჯერსი ნეთსის" ლიდერი ჯეისონ კიდი. ნაკრებში მისი ადგილი დაიკავა კიდისავე ამპლუის მოთამაშემ, „შარლოტ ჰორნეთსის", დღეს უკვე „ახალ ორლეან ჰორნეთსის" გამთამაშებელმა ბარონ დევისმა

ჯეისონ კიდი საზარდულის ტკივილს უჩიოდა და სურს, ეს ზაფხული მშვიდად, ყოველგვარი მკვეთრი მოძრაობის გარეშე გაატაროს. წინ მისი კარიერის კიდევ ერთი სეზონია, ასე რომ, მას არ სურს, რეგულარულ ჩემპიონატს გამოზამთვარის ტრავმით და მოუშხადებელი შეხვდეს.

თავად კიდი არაფერს ამბობს, მის მაგივრად მისი გუნდის, „ნიუ ჯერსის" გენერალური მენეჯერი როდ ტორნი ლაპარაკობს: „ჩვენ გვსურდა, რომ ჯეისონს მსოფლიოზე ეთამაშა და ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოეგო, მაგრამ ის, სურვილის საწინააღმდეგოდ, ამას ვერ ახერხებს. საზარდულის ტრავმა სერიოზული რამაა და აქ უფრთხილდებოდა და უზრუნველი მიდგომა ცუდის მეტს არას მოიტანს". გასაგებია, „ნეთსის" შეფს არ სურს, გუნდის მთავარი კაცი მისთვის არაფრისმომცემ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ხნით დაუშავდეს. პატივცემული ტორნი, ცხადია, დახვენებას და ტრავმის გამოზებების მორიდებას არ ურჩევდა კიდს 2002 წლის პლეიოფის ფინალის მიმდინარეობისას. არადა, კიდმა სწორედ ფინალის წინ, „ბოსტონთან" ნახევარფინალურ სერიაში მიიღო საზარდულის ტრავმა.

შეგახსენებთ, კიდი გახლდათ იმ ნაკრების სამიდან ერთი კაპიტანი, რომელმაც 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ოქრო მოიპოვა.

რაც შეეხება კიდის შემცვლელ ბარონ დევისს, „ჰორნეთსის" ლიდერი უცილობლად დირსეულ ადგილს დაიკავებს დღევანდელ უდიდესი საკალათბურთო ქვეყნის რჩეულ გუნდში. მართალია, დევისი კიდივით საზღვისი და გამოცდილი ვეტერანი ვერაა, მაგრამ თავისი საქმე იცის და ვინძლო, ამერიკელთა ძირითადი გამთამაშებელიც შეიქნეს მსოფლიოს იმ ჩემპიონატზე, რომელზეც მოუთმენლად მოხდება.

კიდისგან განსხვავებით, დევისი მოხარულია, რომ ინდიანაპოლისში ნბა-ს სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ 50-ვარსკვლავიანი დროშის ღირსების დასაცავად მიემგზავრება, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში გამოძახებამ მას ზაფხულის გეგმები აურია: თურმე საკუთარ ბებიასთან უთიერთობის ტკბილ წუთები მოაკლო. „ძალზე მოულოდნელი იყო, დამირეკეს და მითხრეს, ჯეისონი უნდა შეცვალოო. მოკლე ნაცვარდი. სულ სხვავარადა გაპირებდი ზაფხულის გატარებას — მგზობრებთან, ოჯახთან. ახლა კი ბებიას უნდა შევხვდე, ბოლოში მოვუხადო, რომ პირობა ვერ შევუსრულე და მსოფლიოზე გამგზავრების ნებართვა ვთხოვო" — თქვა დევისმა.

ბარონ დევისსაც აქვს საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება. ის იმ გუნდის ძირითადი გამთამაშებელი იყო, რომელმაც 2001 წელს ავსტრალიურ ბრისბეინში ჯეთილი ნების თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა. ახლა ის იმ გუნდიდან ზოგიერთი თანაგუნდელის — ჯერმენ ონილის, შონ მარიონის, ანდრე მილერისა და სხვათა თანადგომით მსოფლიოს რჩეულ კალათბურთელებს და ნაკრებებს ინდიანაპოლისში შეებმება.

შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატი ინდიანას შტატის მთავარქალაქ ინდიანაპოლისში 28 აგვისტოს დაიწყება და 8 სექტემბერს დასრულდება.



**პრობლემა არ არის: არ იქნება ჯეისონ კიდი, იქნება ბარონ დევისი**

აი, ამერიკელთა შემადგენლობაც

**უკანა ხაზი:** ბარონ დევისი (ახალი ორლეანი), ანდრე მილერი (კლივლენდი), რეი ალენი (მილუოკი), მაიკლ ფინლი (დალასი), რეჯი მილერი (ინდიანა), პოლ პირსი (ბოსტონი)

**წინა ხაზი:** შონ მარიონი (ფინიქსი), ელტონ ბრენდი (კლიპერსი), რაფ ლაფრენცი (დალასი), ანტონიო დევისი (ტორონტო), ჯერმენ ონილი (ინდიანა), ბენ უოლესი (დეტროიტი)

**მწვრთნელი:** ჯორჯ კარლი (მილუოკი)

ამერიკის ანუ ნბა-ს ნაკრები ჩემპიონატისთვის მზადებას 16 აგვისტოს სან ფრანცისკოში დაიწყებს. 22 აგვისტოს ზემოხსენებულები ბიჭები ამხანაგურად გაეჯიბრებიან ასევე სამსოფლიოჩემპიონატო საზხადისში მყოფ ჩინეთის ნაკრებს, სამი დღის შემდეგ კი დაუპირისპირდებიან გერმანიას, რომელიც ასევე ოფიციალურად ეტაურებს ინდიანაპოლისს.

**ირაკლი ფირუზიშვილი**



**იუგოსლავიამ დეიან ბოდიროგამ ლამისაა, კანადელებს გადააბიჯა**

# თურქებს კაცი უნდოდათ

## ოსმალომ ენა იუშვლა. ამერიკას ემუქრება

კირის სტამბოლში დასრულდა რვა ერის მინი მსოფლიოს ჩემპიონატზე წლევანდელ ტურნირი, რომელიც ნაღდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა. ტურნირის ფავორიტმა იოლად იძარცვა იუგოსლავიამ ფინალში 19 ქულით მოუგო მსოფლიოს პირველობის მასპინძელ ამერიკელთა მეზობელ და ნბა-ს მოზიარე კანადელებს. ხოლო ის მატჩი, ფინალს რომ დამშვენებდა, წინა დღით გაიმართა, ნახევარფინალში იუგოსლავიამ თურქეთი დაამარცხა.

თავიდანვე ცხადი იყო: ტურნირს ან ერთი მოიგებდა, ან მეორე და როცა თურქეთ — იუგოსლავია ფინალამდე დაეჯახნენ, მატჩი მყისვე „ნაადრევ ფინალად" მონათლა. შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც ხომ ესენი შეხვდნენ.

თურქეთისთვის ბრაზილიასთან წინა თამაშში დაშვებულ იმრავამ ქულეუას, ჰარუნ ერდენაისა და პილიივი თურქულის კომპენსაციის ნაწილობრივ „აბდი ოპეჩის" სავსე ტრიბუნები აბდენია, მაგრამ თავიდან არც ამან გაჭრა.

ევროპის ჩემპიონებმა დებიუტშივე იძალეს და პირველი ათწუთეული 26:16 მოიგეს. მასპინძლებმა მდგომარეობა ვერც მომდევნო მეოთხედში გამოასწორეს. „პარტიზანის" ახალშეძენილი ეკიან ბოდიროგა ქულებს იოლად იხვეჭდა, მას კოტუროვიჩიც ამშვენებდა ხელს, რამაც იუგოსლავიელებმა უპირატესობა 14:1 მოაგებინა და ორქები 17:38 ჩამორჩნენ.

ასეთ ვითარებაში თურქებს ჰარეიათ სჭირდებოდათ ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელ ჰარუნ ერდენაის მარჯვენა, რომელიც სამეულნიანის უბადლო მსროლელადაა ცნობილი, მაგრამ, როგორც ვითქვით, მას ტრავმა ჰქონდა. ამიტომაც თურქებმა მოცმ ძალები ფარეზე გადაიტანეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მორჩა თურქებმა და „დეტროიტ პისტონსთან" ახლახან კონტრაქტგაფორმებულმა მეჰმედ ოქურმა ხლივა ფარეზეშივი დაიკავეს, რამაც ანგარიშში სხვაობა საგრძნობლად შეამცირა თუმცა სტუმრებმა მატჩის მესამედ პერიოდში სტოიკოვიჩის საშუალო თამაში წყალობით მანც იმეტიანად მოიგეს — 64:50.

ალბათ, სლავია მესამე ეკლეჩი ობრადოვიჩმა ჩათვალა, რომ დარჩენილ დროში გამარჯვებას უსტოიკოვიჩოდაც მოიგებდა და „საკრამენტო კინგზის" ლიდერთაგანი ტრავმის ასარიდებლად მოესრდებ გაიზმო. თურქებმაც აქ აიმეცეს. ბოლოში ათწუთეული 10:0-ით დაიწყეს და მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ქულასხვა აგებდნენ — 70:71. ყველაფერი მასპინძელთა გამარჯვებისკენ მიდიოდა და ამ დროს ფიცარზედ სტოიკოვიჩი დაუბრუნდა. „სეჯავე" თამაში თავზე აიღო და, როგორც შარშანდელ ევროფინალში, თურქები გააოგნა ოსმალოთა თავკაცმა ადეთ ორხანმა გამარჯვების სტოიკოვიჩისა იყორ: „ბოლოს იუგოსლაველებმა გააკეთეს ის, რასაც ჩვენ ვგეგმავდით. გადამწყვეტ მომენტში ერთმა კაცმა თავის თავზე აიღო თამაშის ბედი. მათ ეს იმიტომ შეძლეს, რომ სტოიკოვიჩი ჰყავდათ, ჩვენ კი მისი დარი მოთამაშე ვერ მოვძებნეთ. იუგოსლაველები სხვა მხრივაც გვჯობდნენ, ყველა მათი კალათბურთელი თავისი კლუბის ლიდერია, მაგრამ არცერთ არიან, მე ფაქტს ვეიწყადღო და გუნდურად თამაშობენ. თუმცა ვეკლიერი ეს არ ნიშნავს, რომ იუგოსლავია მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებს. ამერიკელებს ჩვენი საზოგად სერიოზული კონკურენტები ეყოლებათ".

მეორე დღეს, უკვე გაითხარით, იუგოსლაველებმა არ გასჭირვებიათ კანადელთა ძლევა და ტურნირის მოგება. განერვიულებული თურქები კი მესამე ადგილსაც ვერ მესწვდნენ, ბრაზილიელებთან 69:65 აგეთ.

**ირაკლი ბერტაია**

საქართველოს ნაკრების გაფართოებულმა, 35-კაციანმა შემადგენლობამ ლა როშელში შეკრება დაიწყო. დაიწყო ლევან ცაბაძის გარეშე. ბორჯღალოსანთა კაპიტანი ახლა „მონფერანშია" და ახალ კლუბთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება. ცაბაძის შეკრებაზე ჩაუსვლელობამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელსა და საუკეთესო ქართველ მორაგბეს შორის გვარიანად გაართულა ურთიერთობა. ლევან ცაბაძეს გუშინ მონფერანში დავუკავშირდით და გაუგებრობის მიზეზი ვკითხეთ

# ოღონდ თქვენ არა!

## ლევან ცაბაძის და კლოდ სორელის უსიამოვნო ლაპარაკი ძალიან უსიამოვნო ამბავია. რუსი მოდის, ხალხო!



ლევან ცაბაძე და კლოდ სორელი. იმედია, გასარკვევი გაირკვევა და ყველაფერი ძველებურად იქნება

— „მონფერანში" არანაირი საშეკრებო მოწვევა არ მომსვლია. კი ვიცოდი, რომ შეკრება იწყებოდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ, ამ ეტაპზე არ გამოიძახეს-მეთქი. მე კი თვითნებურად ვერ მივატოვებდი კლუბს. „მონფერანი" სერიოზული გუნდია და ამას არავინ გაპატიებს. მერე კლოდ სორელს ვესაუბრე და გავიგე, რომ თურმე შეკრებაზე უნდა ვყოფილიყავი.

**— სორელს თუ აუხსენი სიტუაცია?**

— ავუხსენი, მაგრამ არ დამიჯერა. მოწვევა გამოგიგზავნეთ და ნუ მატყუებ, სულელი არ გეგონოო. ვერაფერით დავარწმუნე, რომ არ ვიცოდი, თუ გამომიძახეს.

**— გიჩხუბიათსავით...**

— ჰო, მთლად ჩხუბი არ ეთქმის, მკაცრად ვილაპარაკეთ.

**— იქნებ კლუბმა დაგიმალა მოწვევა...**

— პირველი ეგ ვკითხე გუნდის უფროსობას, მაგრამ იუარეს. ასეთ რამეებს არასდროს ვიკადრებთო. პირიქით, ჩვენს ინტერესებშიც შედის, ნაკრების მორაგბე რომ გვყავს და ყველანაირად ხელს ვუწყობთო.

**— რა გამოდის, მოწვევა არ გამოუგზავნიათ?**

— არ ვიცი, უკვე დავიბენი, ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს. ფაქტი ერთია, ჩემამდე მოწვევა არ მოსულა, სორელს კი არ სჯერა.

**— მოწვევებს ვინ აგზავნის?**

— ზაზა ქასაშვილი.

**— მას თუ ელაპარაკე?**

— ველაპარაკე და ისიც მეუბნება, ყველაფერი გამოგიგზავნეო.

**— ახლა არ შეუერთდები ნაკრებს?**

— არა, სორელმა მითხრა, აზრი არა აქვსო. შეკრება ერთ კვირაში დასრულდება, მერე რამდენიმე დღე თავისუფალია და 14-26 აგვისტოს მეორე შეკრებაა.

**— იქ იქნები?**

— არ ვიცი, ეგ უკვე სორელმა და კლუბმა უნდა მოილაპარაკონ. 31 აგვისტოს საფრანგეთის ჩემპიონატი იწყება და ეგებ კლუბმა არც გამიშვას. თანაც სეზონისთვის კარგად თუ არ მოემზადე, ძირითად შემადგენლობაში არ გათამაშებენ.

ცაბაძესთან საუბრის შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილსაც დავუკავშირდით, რომელიც საფრანგეთში საქმიანობს.

— ცაბაძეს მოწვევა პირადად გავუგზავნე და მერე რა მოხდა, არ ვიცი. მგონი, გაუგებრობაა. სორელმა „მონფერანის" მწვრთნელს დაურეკა და უთხრა, მოწვევა გამოგიგზვნეთ და, ნუ მატყუებთო, იმან უპასუხა, ადმინისტრაციიდან ბევრი შვებულებაშია და ეტყობა, ჩემამდე არ მოსულაო. შეიძლება ცაბაძეს მოწვევა დაუმალეს, რადგან მალე სეზონი იწყება და კლუბებს არ სურთ, მორაგბეები ნაკრებში გაუშვან.

**— ესე იგი, ცაბაძემ არ იცოდა, რომ შეკრებაზე იყო გამოძახებული...**

— ვერ გეტყვით. გამორიცხული არაა, ლევანმა შეგნებულად აარიდა თავი სანაკრებო შეკრებას, რადგან ახალ კლუბში ფეხის მყარად მოკიდება სურს და არ უნდა, დრო გაუცდეს.

**— თუ ასეა, ამას სორელის მხრიდან რაიმე სასჯელი ხომ არ მოჰყვება?**

— არა მგონია. თუ ვინმეს ნაკრებში თამაში არ უნდა, არავინ აძალებს. ვიდრე სიმართლე არ გაირკვევა, არ მინდა ბევრი ლაპარაკი. ისე კი, მაინც ვფიქრობ, რომ „მონფერანის" უფროსებმა რაღაც იმაიმუნეს. კლუბებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია.

ძნელი საქთმელია, ვინ მტყუანია და ვინ მართალი. ერთი კი ცხადია, ოფიციალური ფურცელი თავისით ვერ აორთქლდებოდა, მაგრამ ცაბაძე-მონფერან-ქასაშვილის სამკუთხედშიც ძნელია მისი გაუჩინარების კუთხე ეძებო. ერთიცაა, ლევან ცაბაძემ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ნაკრების ინტერესები მისთვის უპირველესია, ხეიბრობასაც კი ჩახედა თვალებში, მაგრამ მოედანი არ დაუტოვებია. ჩვენი აზრით, ახლა საქმის გარჩევის დრო არ არის — შემოდგომაზე ხომ რუსეთი მოდის...

**ბაჩო სვანიძე**



## FBI ოლიმპიურ სკანდალს ამზადებს:

# ეს იქნება ყველაზე სამარცხვინო მოსრიალება

**ხუთშაბათს** ვწერდით, რომ იტალიაში უზბეკური წარმოშობის რუსი კრიმინალი ალიმჟან ტოხტახუნოვი დააპატიმრეს და ბრალად სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე მსაჯებზე ზეწოლა წაუყენეს. პოლიციის ცნობით, „ტაივანჩიკად" წოდებულ ტოხტახუნოვს ფიგურულად მოსრიალე რუსული წყვილის ბერეჟნაია-სიხარულიძის საქმეც მოუგვარებია და ფრანგების — ანისინა-პეიზერას ოლიმპიური ოქროც გაუჩალიჩებია. გამოძიებას სამხილად ტოხტახუნოვისა და ფრანგი ქალბატონის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ჰქონია, რომელზეც „ტაივანჩიკი" მოსაუბრეს უეჭველ ოქროს მედალს ჰპირდება.



გვენდალ პეიზერა და მარინა ანისინა დიდ უხერხულობაში ჩავარდნენ

ამ ფრანგ ქალში იოლად ამოიცნობა გაფრანგებული რუსი, ოლიმპიური ჩემპიონი მარინა ანისინა, რომელმაც მომხდარს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ტოხტახუნოვს კარგად ვიცნობ და ტელეფონითაც ხშირად ვესაუბრები. ასე იყო ოლიმპიადის დღეებშიც, მაგრამ მაშინ ოლიმპიადაზე, მით უფრო მსაჯებთან გარიგებაზე არ გვილაპარაკია. ამის თქმა სასაცილოა და ყველაფერი გამოგონილია."

ანისინას კვერი დაუკრა საფრანგეთის ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტმა დიდიე გალუემაც. მისი თქმით, მსაჯები უბრალონი არიან და რაიმე გარიგებაზე რომ არ წასულან, მათმა გადაწყვეტილებებმაც ცხადყო. შეგახსენებთ, რომ რუსი მსაჯი ფრანგებს მიემხრო, ფრანგი კი — რუსებს. თუმც სამართალდამცავთა ეჭვს ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მთავარმა დისციპლინარმა ტომას ბახმა განაცხადა, შესაძლოა, სოლტ ლეიკ სიტის ზოგი შედეგი გაუქმდეს, გააჩნია, გამოძიება როგორ დასრულდებაო. ჯერი ეფბიაიზეა, სადაც ტოხტახუნოვისა და ჯერაც ანონიმი ფრანგი ქალბატონის სატელეფონო საუბარს გადაახვევ-გადმოახვევენ და ვერდიქტსაც გამოიტანენ.

**ირაკლი ბერტაია**



*გუშინ მიუნხენში არცთუ ქუქუნა წვიმის თანხლებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. მიუნხენის მრავლისმნახველ „ოლიმპიაშტადიონის" ტრიბუნები ჯერ კანტიკუნტი მაყურებლის თვალებით გადასცქერიან სარბენ-სახტომ ბილიკებს და მწვანე მოედანს.*

# ოლიმპიაშტადიონს ეგეთები უნახავს!

## ფრანსისკო ფერნანდესმა შორი გზა მოიარა და შინ ოქროთი მიდის

ქვემოთ განსაკუთრებული არაფერი ხდება ათლეტები წინასწარ სტადიებზე ახურებენ ტან-ხელ-ფეხს. მაგრამ მალე ფინალების ჯერიც მოაღწევს და სპორტის მოყვარული ის მიუნხენელები, რომლებიც სამხრეთგერმანული ქალაქის ხვატს ალპებში არ გაქცევიან, თანდათან შეავსებენ სკამებს.

მიუნხენელები შინ ვერ იხილავენ ვერც ამერიკელ სპრინტერებს და ვერც აფრიკელ სტაიერებს, მაგრამ ორგანიზატორები დარწმუნებულები არიან, რომ მათ ქალაქში რჩეულევროპელთა რბენა-ხტომა — სროლა-კვრასაც გამოუჩნდება თავისი მუშტარი.

მიუნხენში მსოფლიოს უსწრაფეს კაცს მორის გრინს ფეხმარდი ბრიტანელები შეცვლიან. ევროპის უდიდესი კუნძულიდან მოვლენილთაგან ერთბაშად სამი აცხადებს პრეტენზიას ყველაზე პრესტიჟული, 100-მეტრიანი გარბენის მოგებაზე — დუეინ ჩამბერსი, დარენ კემპბელი და ჯეისონ გარდნერი. 1986 წლის შემდეგ ბრიტმა ლინფორდ კრისტიმ თავისი სამი ევროპული ოქროდან პირველი მიუნხენის მეზობელ შტუტგარტში მოიპოვა, კუნძულელი სპრინტერები ევროპაში პირველობას არ თმობენ. გასახურებელი ასმეტრიანი გარბენი ჩამბერსმა 10,23 წამში დაფარა, განსაკუთრებული შედეგი არაა, მაგრამ მასზე უკეთესი დრო საკვალიფიკაციო შეჯიბრში არავის უჩვენებია. ასეული მეტრი 10,29 წამში გაირბინა ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა დარენ კემპბელმა.

გერმანული პუბლიკის წინაშე ალბათ ოვაციის თანხლებით წარდგება მათი თანამემამულე დიტერ ბაუმანი, 37 წლის ვეტერანი შორსმორბენალი, რომელმაც დოპინგის ხმარებისთვის მისჯილი ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ახლა ახალგაზრდული ენერგიით უბრუნდება სარბენ ბილიკებს, თან ხუთ და ათკილომეტრიან დისტანციებზე გამარჯვების პრეტენზიაც აქვს. 5000 მეტრზე 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი ბაუმანი, ვისთვისაც ზეადამიანური გამძლეობის გამო თეთრი კენიელი შეურქმევით, საკუთარ თავს ოქროსმაძიებელთა შორის რევს: „თავს შესანიშნავ ფორმაში ვგრძნობ. ვფიქრობ, იმ ხუთ-ექვს სპორტსმენს შორის ვარ, ვისაც ხელეწიფებათ ოქროს მოპოვება. სავარაუდოდ, 2004 წლის ათენის ოლიმპიადამდე შემოვრჩები ბილიკებს" — ამბობს თეთრი კენიელი.

ევროპის ჩემპიონატს დანაკარგიც ჰყავს. მანჩესტერში ეს-ესაა ჩამთავრებული ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებში სიგრძეში ხტომაში გაჩემპიონებულმა ნათან მორგანმა ტერფი დაიშავა და მიუნხენში ვერ ჩავიდა.

ამასობაში კი, სანამ სხვები ხურდებოდნენ, პირველი ოქროსმედალოსანიც გამოვლინდა. ესპანელი ფრანსისკო ფერნანდესი 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში პირველ ოქროს დაეპატრონა. სპორტული სიარული არცთუ პოპულარული დისციპლინაა, მაგრამ კაცმა ოქრო მოიგო და ჩვენც აღვნიშნოთ, რომ მან ეს 20 კილომეტრიანი გზის ყველა სხვა ევროპელზე სწრაფად, საათში, 18 წუთსა და 37 წამში გავლით მოახერხა.

**ირაკლი ფირცხალავა**



REUTERS

წლევანდელი ევროჩემპიონატი მართლაც უბერებელმა ჰაიკე დრექსლერმაც დაიწყო

# ჩინგიზ სიგალი

რვაას ორმოცი წელი შესრულდება მონღოლთა შორის უმონღოლესს, ჩინგიზ ხანს. დელგერხაანის მიწაზე დიდი ზეიმობაა და იქა ყოფილა კინოვარსკვლავ-აკიდომელი სტივენ სიგალიც, რომელიც სწორედ რომ ჩინგიზ ხანის როლს შეასრულებს მრავალმილიონიან ფილმში, რომლის გადაღებაც გაისად დაიწყება.





REUTERS რიო დე ჟანეიროდან

# რონალდოები მისულან

რონალდო და მისი ცოლი მელანი რიოს კიბოს ცენტრში მისულან, რომლისთვისაც დიდ ფეხბურთელს სამსოფლიოსჩემპიონატო ჰონორარის ნაწილი გადაულოცია. თან თავიანთი შვილი რონალდიც ხლებიათ, რომელსაც პაციენტთა გასახალისებლად ჰიპ-ჰოპი გაუმართავს.



REUTERS პალმა დე მალიორკიდან

# მამის თასზე

ესპანეთის უფლისწული ფელიპე მზადაა, ცოტაც და შეჯიბრი დაიწყება. უფლისწულის იახტა „სირიუსი“ სამეფო თასისთვის ბრძოლაში ჩაბმულა, რაიც უკვე ოცდამეერთე ზაფხულია ტარდება პალმა დე მალიორკაში.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან




# ოდესურზე

ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშები კი გასრულდა, მაგრამ რიო დე ჟანეიროში ერთი ამბით გრძელდება ოდესური, ანუ სამხრეთ ამერიკის სპორტსმენთა მეშვიდე შეჯიბრება. ეგებ სამხრეთამერიკელები სულაც არ იყვნენ მაგრები სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიაც ასეთი ჟინით ეჯიბრებიან ერთმანეთს, მაგრამ ოდესურზე ნამდვილი სპორტული სული ტრიალებს და ამიტომაც ჩილელი (მარცხნივ) ლუსიანო ინოსტროსა და ბრაზილიელი რობერტო ლასარინი ნამდვილი მუშკეტერებივით ირჯებიან, ბოლივიელი ედსონ ლუნა და ეკვადორელი ხუან ბარაონა კი ნამდვილ ძიუდოს ჭიდაობენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge